საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 31 ოქტომბერი. 2017 წ. №223 (8360), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ეკრანზეის ხიდი

სარკინიგზო მაგისტრალი ოფიციალურად გაიხსნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა, ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა ბაკიტჟან საგინტაევმა და უზბეკეთის პრემიერ-მინისტრმა აბდულა არიპოვმა ლიანდაგში სიმბოლურად ლურსმნები ჩააჭედეს, ისრები გადაიყვანეს და მემორიალური დაფა გახსნეს.

ხუთი ქვეყნის ლიდერებმა ერთობლივი სამახსოვრო ფოტო გადაიღეს, ასევე - იმგზავრეს პირველი მატარებლით, რომელმაც ახლად გახსნილ სარკინიგზო მაგისტრალზე გაიარა.

იხ. 2 გვ.

რატომ ეძცეოდა მთავრობა მოქალაქეებს დისკრიმინაციულად

4

მთავრობის ანტიკონსტიტუციური სადაზღვევო გადაწყვეტილება

ვიპოვოთ გიორგი ყაზბეგის საფლავი

5

არდავიწყება მოყვრისა...

მივეშველოთ სამინისტროს ტყის დაცვაში!

3

ხვალიდან ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესი ამოქმედდება

4

გაქრება კი ოდესმე ასეთი „საზღვარი“?

8

სასწაული XIX საუკუნე საქართველოში



6

რეზო გაბრიაძე:

როიალს ერთი ყმაწვილი კაცი მოჰყვებოდა, გვარად ბარათაშვილი. ტატო...

7

ახალ ევრაზიულ ხიდს საფუძველი ჩაეყარა!

დღეს ახალ ევრაზიულ ხიდს ეყრება საფუძველი – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე განაცხადა.

„ღრმად პატივცემულო პრეზიდენტო ალიევ!

ღრმად პატივცემულო პრეზიდენტო ერდოღან!

ღრმად პატივცემულო პრემიერ-მინისტრო საგინტაევ!

ღრმად პატივცემულო პრემიერ-მინისტრო არიპოვ!

პატივცემულო მთავრობის წევრებო თურქმენეთიდან და ტაჯიკეთიდან,

მოგესალმებით,

ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო,

უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით, მოგესალმოთ და უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ ამ საზეიმო ცერემონიაზე მოწვევისათვის.

დღევანდელი ჩვენი შეკრება ეძღვნება ჩვენი ქვეყნებისთვის და მთლიანად რეგიონისთვის უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას. დღეს ოფიციალურად ვხსნით ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას, რაც ერთობლივი სტრატეგიული პროექტების წარმატებით განხორციელების საუკეთესო მაგალითი გახლავთ.

პირველ რიგში, მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო პრეზიდენტ ალიევს ამ ღონისძიების უმაღლეს დონეზე ორგანიზებისთვის და მეგობარი ქვეყნების ლიდერების მოწვევისთვის, რაც საერთო ხედვისა და ინტერესების საუკეთესო დემონსტრირება გახლავთ. აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და პრეზიდენტ ერდოღანს და ჩვენს მოძმე თურქ ხალხს მივულოცო რესპუბლიკის დღის ნაციონალური დღესასწაული.

თურქეთთან, აზერბაიჯანსა და საქართველოსთან ერთად, ყაზახეთისა და უზბეკეთის პრემიერ-მინისტრების დასწრება, ასევე მთავრობის წევრების დასწრება თურქმენეთიდან და ტაჯიკეთიდან, მეტყველებს აღნიშნული პროექტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, დამატებით მიმზიდველობას აჩენს ამ პროექტის მიმართ და ზრდის მის სტრატეგიულ მნიშვნელობას.

დღეს, როდესაც რეგიონი და მსოფლიო მრავალი გამოწვევის და საფრთხის წინაშე დგას, არ არის გასაკვირი, რომ ჩვენი ქვეყნების განვითარებაზე, მათ შორის ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების გამყარებასა და გაფართოებაზე და, აქედან გამომდინარე, სტაბილურობაზე ორიენტირებული პროექტი ასეთ დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ჩვენი ქვეყნების გეოსტრატეგიული მდებარეობა, გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, ვიყოთ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი. ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, ახალი სარკინიგზო ხაზი მნიშვნელოვნად შეცვლის არსებულ ეკონომიკურ რეალობას

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა აერთიანებს ევროპასა და აზიას!

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანის განცხადებით, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა რეგიონის მომავლისთვის მნიშვნელოვანი პროექტია.

როგორც მან ბაქოში, რკინიგზის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალზე განაცხადა, პროექტი აერთიანებს არა მხოლოდ აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს, არამედ ევროპასა და აზიას.

„დღეს ჩინეთიდან ევროპაში მიმავალი ტვირთების მოცულობა 240 მილიონ ტონას აღემატება. ამ ტვირთების 10 პროცენტის ტრანსპორტირებაც რომ მოხდეს „საშუალო დერეფნით“, რომელიც ჩვენს ქვეყნებზე გადის, ჩვენ დამატებით 24 მილიონ ტონა ტვირთს გადავიტანთ“, – განაცხადა ერდოღანმა.

და განვითარების სრულიად ახალ პირობებს შექმნის, არამარტო ჩვენს რეგიონში, არამედ მის მიღმა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ახალ ევრაზიულ ხიდს ეყრება საფუძველი, რომელიც არა მხოლოდ ჩვენს ეკონომიკებს, არამედ ჩვენს მოქალაქეებს დააკავშირებს ერთმანეთთან, გააუმჯობესებს და გაზრდის მათ კეთილდღეობას. ახალი სარკინიგზო მარშრუტის სრულყოფილად ამოქმედება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის უკეთ ათვისებას და კიდევ უფრო განამტკიცებს რეგიონის სატრანსპორტო და სავაჭრო სტატუსს. აღსანიშნავია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, სატვირთო გადაზიდვებთან ერთად, ყოველწლიურად, ერთ მილიონ მგზავრს მოემსახურება.

ახალი სარკინიგზო ხაზის ამოქმედებას მოჰყვება თანამდევი ინფრასტრუქტურის განვითარება, გამარტივდება ახალი ბაზრების ათვისება და ხელი შეეწყობა ტურიზმისა და გადამამუშავებელი სექტორების განვითარებას, შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, რაც ჩვენი რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლის საწინდარია.

ჩვენ მივესალმებით იმ დიდ პროგრესს, რომელსაც ჩვენმა ქვეყნებმა მიაღწიეს ბოლო წლების განმავლობაში. მინდა აღვნიშნო, რომ თითოეული ჩვენგანის წინსვლა ყველა დანარჩენის განვითარების, სტაბილურობის და უსაფრთხოების საწინდარია. დღეს ჩვენ არა მხოლოდ ერთმანეთის ეკონომიკასა და სავაჭრო პოტენციალს, არამედ მსოფლიოს უმსხვილეს ბაზრებს ვაკავშირებთ ერთმანეთთან. მით უფრო, რომ სწრაფად მზარდი ბაზრები და ჭარბი პროდუქცია – მათ შორის ერთობლივად წარმოებულიც – კომუნიკაციისა და ტრანსპორტირების დამატებით არხებს საჭიროებს.

საერთაშორისო გადაზიდვების სტიმულირებისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების კუთხით, ჩვენი ქვეყანა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, არსებულის მოდერნიზებას და მის ეფექტიან მუშაობას.

რკინიგზის მშენებლობასა და მოდერნიზებასთან ერთად, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვავითარებთ საპორტო ინფრასტრუქტურას, ასევე დიდ ინვესტიციებს ვახორციელებთ საგზაო ინფრასტრუქტურაში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მონაკვეთზე სატრანზიტო კორიდორების ოთხზოლიანი მაგისტრალის მშენებლობას. ჩვენ გვსურს, საქართველომ თავისი წვლილი შეიტანოს „აბრეშუმის გზის“ აღორძინებისა და „ერთი გზა – ერთი სარტყელის“ ინიციატივის განხორციელების საქმეში.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის წარმატებას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ჩინეთთან გაზრდილი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ჩინეთ-ევროკავშირის სავაჭრო-სატრანსპორტო რუკაზე ეს მარშრუტი იკავებს „შუა კორიდორის“ ადგილს, როგორც ამ კორიდორს უწოდა პრეზიდენტმა ერდოღანმა სულ ცოტა ხნის წინათ ჩინეთში გამართულ აბრეშუმის გზის სამიტზე.

დღეს, საკონტეინერო მატარებელს ჩინეთიდან საქართველომდე ყაზახეთის და აზერბაიჯანის გავლით 8 დღე სჭირდება. მსურს, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო პრეზიდენტ ნაზარბაევს მისი პირადი ყურადღებისთვის, რომელსაც უთმობდა და უთმობს ამ მარშრუტის განვითარებას. ვიმედოვნებთ, „ერთი გზა – ერთი სარტყელის“ პოზიტიური ეფექტი გავრცელდება შუა აზიის სხვა ქვეყნებზეც. ახლა უკვე არის შესაძლებლობა, კონტეინერებმა განაგრძოს რკინიგზით მოძრაობა თურქეთის მიმართულებით. ჩვენ გვსურს, რომ ამ გზით საქართველო და ჩვენი რეგიონი მაქსიმალურად იყოს ინტეგრირებული ევროკავშირის ტრანსევროპულ სატრანსპორტო ქსელთან.

დარწმუნებული ვარ, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო მარშრუტი ამ მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

მოგახსენებთ, რომ წელს, 28-29 ნოემბერს, თბილისში გაიმართება „აბრეშუმის გზის“ (Belt and Road) მაღალი დონის საერთაშორისო ფორუმი. ეს უკვე მეორე შეხვედრა იქნება საქართველოში, რომელიც თავს მოუყრის 40-ზე მეტი ქვეყნის სამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს. სწორედ ასეთი მასშტაბის შეხვედრაზე მოგვეცემა შესანიშნავი შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ ზემოხსენებული დერეფნის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მნიშვნელობა და შესაბამისად, უმნიშვნელოვანესი გახლავთ აქ წარმოდგენილი ქვეყნების აქტიური ჩართულობა.

კიდევ ერთხელ მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო პრეზიდენტ ალიევს დღევანდელი ღონისძიებისთვის, ასევე მსურს, მადლობა გადავუხადო ჩვენს მეგობრებს, მეგობარი ქვეყნების ლიდერებს, მთავრობის წევრებს, ასევე ყველა იმ ადამიანს, რომელთა მრავალწლიანი დაუღალავი შრომით, შესაძლებელი გახდა ამ რთული პროექტის წარმატებით დასრულება.

რა თქმა უნდა, ყველაზე მთავარი გახლავთ ის, რომ აქ წარმოდგენილი ქვეყნების ერთობის დემონსტრირება ხდება სწორედ ამ პროექტით, რასაც დღეს ვხედავ. დარწმუნებული ვარ, მსგავსი პროექტებით და რაც მთავარია, ერთმანეთის გვერდით დგომით კიდევ უფრო გავაღრმავებთ კავშირებს, რომლებიც წარმატების მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნებისა და ჩვენი რეგიონისთვის, დასძინა ბოლოს პრემიერ-მინისტრმა.

ნინო ჯავახაძე: აშშ-თან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია

საქართველოში აშშ-ის სავაჭრო პალატის პრეზიდენტის მაიკლ ქაუგილის საავტორო პუბლიკაციაზე, რომელიც ამერიკულ გამოცემა Thi Hill-ში გამოქვეყნდა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ნინო ჯავახაძემ კომენტარი გააკეთა. მისი განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეკონომიკური რეფორმებისა და ბიზნესგარემოს შეფასება ხდება არამხოლოდ მთავრობის, არამედ დამოუკიდებელი მხარის მიერ და ეს განსაკუთრებით მისასალმებელია.

„გამოქვეყნებულ სტატიაში მაიკლ ქაუგილი დადებითად აფასებს საქართველოში განხორციელებულ და მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს, ასევე ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს. განსაკუთრებით მისასალმებელია, როდესაც ასეთი შეფასება ხორციელდება არამხოლოდ მთავრობის, არამედ დამოუკიდებელი მხარის მიერ. ნამდვილად დადებითია ეკონომიკური ტენდენციები, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს, ამას ადასტურებს დღეს გამოქვეყნებული მონაცემებიც, რომლის მიხედვით, 2017 წლის 9 თვის წინასწარი მონაცემებით საშუალო ეკონომიკური ზრდა 4.7%-ია, ხოლო მხოლოდ სექტემბრის მაჩვენებლებით გვაქვს 5%-იანი ეკონომიკური ზრდა“, – განაცხადა ნინო ჯავახაძემ.

მისივე შეფასებით, ამერიკა საქართველოს სტრატეგიული სავაჭრო პარტნიორია, შესაბამისად, ამერიკასთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების ფარგლებში საქართველოს მთავრობა მუდმივ რეჟიმში, თანმიმდევრულად მუშაობს.

მივეშველოთ სამინისტროს ტყის დაცვაში!

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის სამინისტრო ბორჯომის ხეობაში ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება.

„ბორჯომის ხეობაში ხე-ტყის დამზადება მიმდინარეობს ტყის ინვენტარიზაციის საფუძველზე მომზადებული ტყის მართვის გეგმებით დაშვებული მოცულობების ფარგლებში, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ტყეების ფაქტიურ მდგომარეობას და უზრუნველყოფს მდგრად ტყითსარგებლობას. სწორედ ამ პრინციპების დაცვით ხორციელდება ტყეკაფების გამოყოფა უპირველესად სოციალური ჭრისთვის, რომელიც საქართველოს მოსახლეობის სათბობ რესურსზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენს. ასევე, ტერიტორიაზე მიმდინარეობს სანიტარიული ჭრებიც. ტყის მავნე მწერმა ქერქიჭამიამ დიდი ზიანი მიაყენა სამცხეჯავახეთში წიწვოვან ტყის მასივებს. 2012 წლიდან ხორციელდება მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებები ფერომონიანი მწერსაჭერების გამოყენებით, თუმცა, საუკეთესო შედეგების მიღების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სანიტარიული ჭრების განხორციელებაც, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს პირობებისთვის, არამედ, ზოგადად, მსოფლიო მასშტაბით მეტყევეობაში მიღებული პრაქტიკაა.

ზოგადად, ხე-ტყის დამზადება წარმოადგენს სატყეო სამეურნეო ღონისძიებას, რომლის განხორციელება არა მხოლოდ მერქნული რესურსებით სარგებლობის თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, არამედ წესების დაცვით დაგეგმილი. აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოფს ტყეების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

რაც შეეხება რეგიონში უკანონო ტყითსარგებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მხოლოდ მიმდინარე წელს (ოქტომბრის მდგომარეობით) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლების მიერ გამოვლენილია უკანონოდ ხე-ტყის მოპოვების სამართალდარღვევის 337 ფაქტი. მათ შორის, 21 ფაქტი დაფიქსირდა მიმდინარე წლის აგვისტოს პერიოდში ბორჯომის ხეობაში ხანძრის დროს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამართალდამცავ სტრუქტურებთან ერთად, 2017 წლის 1 იანვრიდან დღემდე, უკანონო ტყითსარგებლობისა და ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევის 2250 ფაქტი გამოავლინეს. მათ შორის: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 2126, ხოლო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი — 124 ფაქტი. ამავე პერიოდში, ამოღებულია უკანონოდ მოქმედი, მრგვალი ხე-ტყის გადამმუშავებელი 187 სახერხი დანადგარი. უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის მოცულობამ 10 689,9 მ3 შეადგინა.

მხოლოდ აგვისტოს თვეში, როცა მთელი საქართველოს მასშტაბით, ტყეებში გაჩენილი ხანძრის კერების სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობდა და სტიქიასთან ბრძოლაში ყველა არსებული ადამიანური თუ ტექნიკური რესურსი იყო ჩართული, ბრაკონიერები ხე-ტყის უკანონო ჭრასა და ტრანსპორტირებას მაინც აგრძელებდნენ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამ პერიოდში უკანონო ტყითსარგებლობისა და ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევის 208 ფაქტი გამოავლინეს. აქედან, 198 — ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და 10 — სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი. მხოლოდ აგვისტოს თვეში, დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ამოღებულ იქნა უკანონოდ მოქმედი, მრგვალი ხე-ტყის გადამმუშავებელი 20 სახერხი დანადგარი.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ უკანონო ტყითსარგებლობის პრევენციასა და გამოვლენაზე და ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ჩართულობაც, ამიტომ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მოსახლეობას და დაინტერესებულ პირებს, ნებისმიერი ინფორმაცია დარღვევებთან დაკავშირებით გვაცნობონ სამინისტროს ცხელ ხაზზე — 153“, — აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

„გაბედეთ, გარისკეთ... მოაშორეთ ეს მილები თბილისს, გაიტანეთ საკაშვილის ხელისუფლების სიმბოლო ველოსიპედი“!

ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური თბილისის ახალარჩეულ მერს რჩევას აძლევს. ოთხმეზური „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში კალაძეს ურჩევს, რომ რიყიდან — მუსიკისა და დრამის თეატრი, ვარდების რევოლუციის მოედნიდან ველოსიპედი აიღოს. ის ასევე თხოვნით მიმართავს კალაძეს, დავით აღმაშენებლის ძეგლს უკეთესი ადგილი მოუძებნოს.

„კახი კალაძეს ვთხოვ, ნაციონალების მიერ წართმეული პატივი და ღირსება დაუბრუნოს ქალაქს. სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებსა და საავადმყოფოებს მეტი ყურადღება მიაქციოს. შეიძლება, შუშის ხიდი ვიზუალურად ლამაზია, მაგრამ, ძველ თბილისში იმ ტერიტორიაზე მისი ადგილი არ არის.

სავარაუდოდ, დიდი თანხა დაიხარჯა ე.წ „ტრუბების“ გაკეთებაში, მაგრამ ვფიქრობ, თბილისის შუაგულიდან ისინი აუცილებლად უნდა იქნას აღებული. დიახ, გაბედეთ, გარისკეთ და შესაბამისი დადგენილების საფუძველზე მოაშორეთ ეს მილები თბილისს... გაიტანეთ რესპუბლიკის მოედნიდან საკაშვილის ხელისუფლების სიმბოლო ველოსიპედი.

კარგი იქნება, თუ დიდი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის უკანასკნელ თხოვნასაც გაითვალისწინებთ და დავით აღმაშენებლის ძეგლს უკეთეს ადგილს მოუძებნით, რაც მთავარია, თქვენ მიერ გაკეთებული საქმეები ხალხამდის მიიტანეთ, რომ ადამიანებმა კარგისა და ცუდის გარჩევა უკეთ შეძლონ“, — აცხადებს ოთხმეზური.

კახა კალაძემ და ბრუნო ბალვანერამ სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს



თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დირექტორს სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში ბრუნო ბალვანერას შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა, თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ნარჩენების მართვისა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის საკითხები განიხილეს. კახა კალაძის თქმით, ის მაქსიმალურად გამოიყენებს გარდამავალ პერიოდს იმისთვის, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ნაყოფიერი შეხვედრები განაგრძოს.

„საუბარი გვქონდა თუ რა მიმართულებით შეუძლიათ დახმარება და დაფინანსება. გამოიყო რამდენიმე მიმართულება. ეს არის მეტროს რეაბილიტაცია — როგორც მეტროს სადგურების და ვაგონების, ასევე, თვითონ კომუნიკაციების. ასევე, ქალაქის ლედ განათებებზე გადაყვანა. ასევე, ძალიან აინტერესებთ და ჩართულები იქნებიან საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლების პროექტში. ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მალე ყველაზე ლამაზი ქალაქი გვექნება, მოწესრიგებული, სუფთა და ინფრასტრუქტურულად განახლებული. ჩვენ - მე და ჩემი გუნდი, მზად ვართ მუშაობისთვის, წინ საკმაოდ საინტერესო ოთხი წელი გველოდება და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით და ჩართულობით ბევრ საინტერესო პროექტს განვახორციელებთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონული დირექტორის ბრუნო ბალვანერას განცხადებით, თბილისის მერობის გამარჯვებულ კანდიდატთან კონკრეტული პროექტები და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილა.

პრემიას ჯილდო დაერქმევა და დანამატის ზღვარი განისაზღვრება

საკანონმდებლო ინიციატივით, პრემიას ჯილდო დაერქმევა და დანამატი წლიური ხელფასის მაქსიმუმ 10%-ით განისაზღვრება.

„ეს სისტემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოწესრიგდეს და ამ მოწესრიგების მთავარი ნაწილი არის ის, რომ ქვეყანაში უნდა შემცირდეს ბიუროკრატია და გამოთავისუფლებული ფული, ნაწილი უნდა მიეცეს მომუშავე ჩინოვნიკს და დანარჩენი უნდა წავიდეს მასწავლებლებისა და პენსიონერების შრომის ანაზღაურების და პენსიების გასაზრდელად“, — განაცხადა „ენმ“-ის წევრმა რომან გოცირიძემ. ოპოზიციაში მმართველ გუნდს მოჩვენებითი ცვლილებების განხორციელებაში ადანაშაულებენ და განმარტავენ, რომ ჯილდო, იგივე პრემია კვლავ უკონტროლო რჩება მთელი რიგი უწყებების, მათ შორის, პროკურატურისა და მარეგულირებლების შემთხვევაში...

შატილში მე-6 კოშკის სრული რეაბილიტაცია 2018 წელს დასრულდება

მიმდინარე წლის ზაფხულში შატილში ჩამოშლილი მე-6 კოშკის სრულ რეაბილიტაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მომდევნო წელს დაასრულებს. **სააგენტოს მიერ დაფინანსებული აღდგენითი სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში, დაზიანებული კოშკი მთლიანად გაიწმინდა ნაშალი ქვისა და ჩახერგილობისაგან. რესტავრატორების მიერ დაიშალა კოშკის დაზიანებული კედელი, ჩამოყრილი ქვები კი გადაირჩა და დასაწყობდა. გაწმენდილ სამუშაო ადგილზე მოეწყო სახურავის დროებით დამჭერი ხის სივრცული ძალოვანი ხარაჩო, რომელიც კოშკის სახურავს და მის შენარჩუნებულ კედლის წყობას ზამთრის განმავლობაში კონსტრუქციული რეგრესისგან დაიცავს. ნადენი წყლისგან დაზიანებული საძირკვლის გრუნტი დამუშავდა, სადაც მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკველი მოეწყო. სამუშაოები შპს „გრინველის“ მიერ განხორციელდა. ჩამოშლილი კედლის აღდგენის სამუშაოებს კონტრაქტორი ფირმის სპეციალისტები მომდევნო გაზაფხულიდან განაგრძობენ. კოშკის დაზიანებული ფასადი კვლავ ავთენტური ფიქალის ქვის მშრალი წყობით აღდგება.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის სპეციალისტების დასკვნის თანახმად, შატილში მე-6 კოშკის ჩამოშლის მიზეზი მეზობლად მდებარე კოშკის სახურავის სადინარი მილი გახდა, რომლიდან ნადენი ნალექი მე-6 კოშკის საძირკველზე იყო მიმართული.

ჩამოშლილი კოშკის აღდგენაზე აღებული ვალდებულების მიუხედავად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო სოფ. შატილის მცხოვრებლებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ მეტი პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებს და მათი მოვლა-პატრონობის საქმეში სათანადო ინიციატივის გამოჩენას სთხოვს.



რატომ ექცეოდა მთავრობა მოქალაქეებს დისკრიმინაციულად

საკონსტიტუციო სასამართლო სადაზღვევო საკითხებში ჩაერია და დაადგინა, რომ მთავრობა რიგ შემთხვევაში დისკრიმინაციულად მოქმედებს. საქმე ეხება საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმირების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას.

სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ის ნორმა, რომელიც, 2013 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით, კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართულ პირებს უზღუდავდა ამ პროგრამით სრულად სარგებლობის უფლებას.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ, სადავო ნორმის მიხედვით, უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით სრულად მოსარგებლე პირები და ისინი, ვინც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის გამო აღარ არიან ჩართული კერძო სადაზღვევო სქემებში. აღნიშნულ კატეგორიაში მყოფ პირებს უფლება ჰქონდათ, ესარგებლათ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მხოლოდ შეზღუდული მოცულობით.

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო** საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იზიარებს და იქვე აცხადებს, რომ დისკრიმინაციული მიდგომა, რომელიც კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართულ პირებს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით სრულად სარგებლობის უფლებას უზღუდავდა, 2017 წლის მაისიდან აღმოფხვრილია.

„საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომელიც ეხებოდა 2015 წლის თებერვალში შეტანილ სარჩელს, თუმცა შარშან წლის ბოლოს და წელს, წლის დასაწყისში ჩვენ რამდენიმე მნიშვნელოვან საინფორმაციო აქტივობა გავატარეთ, რომ სწორედ ამ პრობლემაზე გაგვესვა ხაზი, პრობლემაზე, რომელიც წელს მაისიდან, საბედნიეროდ, მოგვარებულია.

მოგეხსენებათ, 2013 წელს, როდესაც დაიწყო საყოველთაო ჯანდაცვა, მოხდა გამიჯვნა, ვისაც ჰქონდა კერძო სადაზღვევო პაკეტი, ის ვერ გახდებოდა საყოველთაო ჯანდაცვის მონაწილე. ამის მერე, მრავალგზის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, 2015-2016 წლების განმავლობაში სადაზღვევო ინდუსტრიის დიდი ნაწილისგან არ მოხდა მონაცემთა ბაზების მოწოდება.

2013 წლის მდგომარეობით ვინც იყო კერძოდ დაზღვეული, მაგრამ შემდგომ წლებში დაკარგა კერძო დაზღვევა, ვერ გახდა მთლიანი პაკეტის მოსარგებლე. სწორედ ეს იყო დისკრიმინაციული მდგომარეობა. იგი გამოწვეული იყო იმის გამო, რომ სადაზღვევო კომპანიების ართუ ისე მცირე ნაწილი ჯიუტად აჭიანურებდა სადაზღვევო ბაზების მოწოდებას და საბედნიეროდ, საკმაოდ აქტიური ნაბიჯების გადადგმა დაგვჭირდა, მაგრამ ეს დისკრიმინაცია მოგვარებულია 2017 წლის მაისიდან“, — განაცხადა სერგეენკომ.

მისივე თქმით, მთავრობის სხდომაზე გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ზემოაღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად და მიღებულ იქნა განკარგულება, რომლის მიხედვითაც, როგორც სადაზღვევო ინდუსტრიას, ასევე კლინიკებს და ჯანდაცვის სამინისტროს ბაზებზე ონლაინ წვდომა ექნებათ. შესაბამისად, ადამიანს, რომელიც დაკარგავს კერძო სადაზღვევო პაკეტს, საშუალება ექნება ძალიან მოკლე ვადაში ჩაერთოს სრულყოფილ პაკეტში.

სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე **დევი ხეჩინაშვილი** იწონებს სასამართლოს გადაწვეტილებს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება დაგვიანებულია, თუმცა მისასალმებელი და მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს, თუ რა არის საყოველთაობა.

„ვინც 2013 წლის გადაწყვეტილებით ამოვარდა სისტემიდან და ვინც 2017 წლის 9 თებერვალს მიემატნენ, მათი პრობლემა დასრულდა. იმედი მაქვს, ამ ადამიანებს სრულად აღუდგებათ საყოველთაო ჯანდაცვის მომსახურება.

სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ უნდა გამოაფხიზლოს შესაბამისი ორგანოები და თავად სახელმწიფო, რომ მკაფიოდ ჩამოაყალიბონ, თუ რა არის საყოველთაობა. მთავრობამ უნდა გაწეროს საბაზისო სერვისებზე წვდომა ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან კერძო დაზღვევით“, — აღნიშნა ხეჩინაშვილმა.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **ზაზა სოფრომაძე** კი ამბობს, რომ, თუკი ამ საკითხზე მთავრობა განკარგულებას გამოსცემს, შესაბამისი ფინანსური რესურსებიც უნდა მოინახოს, რაც საყოველთაო ბენეფიციართა გაზრდილ რაოდენობას მოხმარდება.

„2013 წელს, როდესაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა იქმნებოდა, ჯერ კიდევ მაშინ ჩაიდო ზღვარი კერძო დაზღვეულებსა და სახელმწიფო პროგრამას შორის. მთავარი ამოცანა იყო მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო სერვისებით. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა საუბარი, ამას შესაბამისი რეაგირება სჭირდება. მთავრობის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაბამისი რესურსით უნდა იყოს უზრუნველყოფილი“, — განაცხადა ზაზა სოფრომაძემ.

ბექა დანელია

ხვალიდან ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესი ამოქმედდება

მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შედის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა სხვადასხვა მედიასაშუალების ჟურნალისტებს შსს-ს ერთობლივი ოპერაციების ცენტრში უმასპინძლა და სამინისტროში მიმდინარე ტექნოლოგიურ რეფორმებზე ისაუბრა.

„თანამედროვე მსოფლიო გამოწვევების ფონზე, შს სამინისტრო მუდმივად ორიენტირებულია განვითარებაზე. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის ინოვაციური პროექტების დანერგვა და ტექნოლოგიური რეფორმა, რაც მოსახლეობის უსაფრთხოების ხარისხს კიდევ უფრო გააუმჯობესებს. ჩვენი პოლიციის ტექნოლოგიური რეფორმა ახალ ფაზაში გადადის,“ — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

შს მინისტრის მოადგილემ **შალვა ხუციშვილმა** მედიასაშუალებების წარმომადგენლებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

შსს-ს ერთობლივი ოპერაციების ცენტრში ჟურნალისტებს პრაქტიკულად უჩვენეს, თუ როგორ ხდება, უახლესი ტექნოლოგიების მეშვეობით, სამართალდარღვევების მონიტორინგი, მათი ავტომატურ რეჟიმში დაფიქსირება და ვიდეოჯარიმის გამოწერა.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, 2017 წელს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 3000-მდე ე.წ. ჭკვიანი კამერა მონტაჟდება. შსს-ს ერთობლივი ოპერაციების ცენტრში დანერგილი ვიდეოანალიტიკური პროგრამებით მოხდება სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ავტომატურ რეჟიმში დაფიქსირება. დამრღვევი მძღოლი კი შემდეგ ფაქტებზე დაჯარიმდება:

- **შუქნიშნის წითელ ფერზე გავლა;**
- **ორმაგი ღერძულა ხაზის გადაკვეთა;**
- **სიჩქარის გადაჭარბება;**
- **მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით გადაადგილება;**
- **მუნიციპალური ტრანსპორტის ზოლში მოძრაობა.**

ახალი რეგულაციის თანახმად, სამართალდამრღვევს, ჯარიმის დაფიქსირებისთანავე, დარღვევის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან აპლიკაციის საშუალებით ეცნობება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესის მიხედვით:

- **საგზაო უსაფრთხოების სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ვიდეოჯარიმის შესახებ ინფორმაციის მოკლე ტექსტური შეტყობინების** (sms) **საშუალებით მიღების შემდეგ, ჯარიმის ათი კალენდარული დღის განმავლობაში გადახდის შემთხვევაში, პირი სარგებლობს 20%-იანი შეღავათით;**
- **თუ პირი მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში ვიდეოჯარიმას არ გადაიხდის, საჯარიმო ქვითარი, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მას ფოსტის მეშვეობით გაეგზავნება;**
- **ვიდეოჯარიმის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, 30-დან 60 დღის ვადაში, პირს ვიდეოჯარიმა განმეორებით ეგზავნება;**
- **საჯარიმო ქვითრის ფოსტის მეშვეობით ორჯერ ჩაუბარებლობის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებას ოფიციალურ ვებ-გვერდზე:** www.police.ge;
- **საჯარიმო ქვითარი გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს შესაბამისი პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა;**
- **ვიდეო ან ფოტოფირზე დაფიქსირებული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმა მოქალაქემ უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. გადაუხდელობის შემთხვევაში, მას დაერიცხება საურავი, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იძულებითი აღსრულების წესი;**
- **ვიდეოფირსა და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადა იზრდება 1 წლამდე.**
- **მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, მომსახურება მიიღოს ბანკების, სწრაფი გადახდის აპარატების და მომსახურების სააგენტოს აპლიკაციის საშუალებით;**

აღსანიშნავია, რომ ფოტო ან ვიდეოფირზე დაფიქსირებულ ჯარიმებზე ქულათა კლების სისტემა არ ვრცელდება.

ირაკლი მექვაბიშვილი ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს კრისტიან ურსეს შეხვდა

გენერალური აუდიტორი ირაკლი მექვაბიშვილი, გენერალური აუდიტორის მოადგილე ეკატერინე ღაზაძე და პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზურაბ აზნაურაშვილი ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს, კრისტიან ურსეს შეხვდნენ.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობისა და მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესების კუთხით ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები. შეხვედრაზე აღინიშნა აგრეთვე არსებული წარმატებული თანამშრომლობის გაგრძელების მნიშვნელობის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ევროპის საბჭოს მიერ გაწეული მხარდაჭერის როლის შესახებ.

◎ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

ვიპოვოთ გიორგი ყაზბეგის საფლავი

არდავიწყება მოყვრისა...

XIX ს. მეორე ნახევრის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ორმა მასობრივმა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ. პირველი გახლდათ 1879 წელს დაარსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ნებაყოფლობითი ორგანიზაცია: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ხოლო მეორე — „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, რომელიც 1907 წლის 20 სექტემბერს დაარსდა. ამ უკანასკნელზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგან მას თავის დროზე მიეძღვნა საარქივო მასალებზე დაფუძნებული რ. მეტრეველის ისტორიული ნარკვევი „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, (გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ. 1982, გვ. 3-374). ამ საზოგადოების გამგეობის დამფუძნებელი წევრი გახლდათ გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, რომლის მოღვაწეობას ეხება ჩვენი წერილი.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაარსდა 1879 წლის 31 მარტს. ამ საზოგადოების გამგეობის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი, ხოლო მის მოადგილედ — ილია ჭავჭავაძე. 1885 წლიდან 1907 წლამდე (სიკვდილამდე) საზოგადოებას უცვლელად ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე. გამგეობის წევრები იყვნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ანტონ ფურცელაძე. ალექსანდრე ჭყონია და სხვ. ორასამდე გამორჩეული მამაცი, მათ შორის ბიზნესმენები და ფინანსისტები.

გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 1879 წელს მას უკვე დამთავრებული ჰქონდა მაშინ უაღრესად პრესტიჟული რუსეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემია იყო სამხედრო ინჟინერი და ინფანტერიის გენერალი. 1867-1868 წ.წ. იტალიაში ყოფნის დროს მან გამოაქვეყნა საყურადღებო ნაშრომი, ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი „იტალიელები საქართველოს შესახებ“, მისი სამეცნიერო ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1876 წ. თბილისში, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების „ჩანაწერებში“ გამოქვეყნებული ნაშრომი „მოგზაურის დღიურიდან — სამი თვე თურქეთის საქართველოში“. ამ მეტად საყურადღებო ნაშრომის პოპულარიზაციას ქართველ მკითხველთა ფართო მასებში დიდად შეუწყვეს ხელი ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და მეცნიერებმა რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა; მათ ბათუმში, 1995 წ. გამომცემლობა „აჭარაში“ გამოსცეს მისი ნარკვევის ქართული თარგმანი, დაურთეს შესავალი წერილი და მეტად ფასეული კომენტარები გ. ყაზბეგის პორტრეტითურთ. ნიშანდობლივია, რომ ამ ნაშრომს თავის დროზე ე. თაყაიშვილმა „ნამდვილი განძი“ უწოდა. ვფიქრობთ, დადგა დრო, ვიზრუნოთ ამ წიგნის უფრო მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსაცემად.

1908-1919 წწ. გ. ყაზბეგი გახლდათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო 1919-1921 წ.წ. — მისი საპატიო თავმჯდომარე. მის დროს მოხდა საზოგადოების წესდების გადახალისება, შეიქმნა ახალი ბიბლიოთეკები და განყოფილებები, მათ შორის ბაქოსა და კავკავში (დღეს ვლადიკავკაზი!).

გ. ყაზბეგმა 1922 წლის 25 მარტს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს, მეუღლე ელისაბედ ალექსანდრეს ასულ მაღალაშვილთან ერთად, მთელი ოჯახით დატოვა საქართველო.

სამწუხაროდ, არავინ იცის, როდის, რა ვითარებაში წავიდა იგი ბათუმიდან თურქეთში, სად და როდის გარდაიცვალა. ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არ დარჩენილა (ყოველი შემთხვევისთვის, დღემდე არ აღმოჩენილა).

საპოვნია მისი განსასვენებელი ადგილიც. საბედნიეროდ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების შუშანა ფუტკარაძის, როინ მალაყმაძის და სხვათა კვლევის, შედეგად (იხილეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 2017 წლის 9 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი ჩვენი რეცენზია კრებულზე — „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“) დადგენილია, რომ გ. ყაზბეგმა თავისი ოჯახით თავი შეაფარა ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან არსებულ სასტუმროს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1921 წლის 14 აპრილს.

ჭეშმარიტად, ჩვენი ვალია, მოვიძიოთ მისი და მისი შთამომავლების კვალი სტამბოლში. ვფიქრობთ, აუცილებელია, თურქეთში საქართველოს საელჩოსა და შესაბამისი საკონსულოს დახმარებით სტამბოლში გაიგზავნოს სპეციალური საძიებო ჯგუფი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს კულტურის სამინისტროს ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ეგიდით. დიდი ქართველის გიორგი ყაზბეგის უკანასკნელი განსასვენებელი მპოვნელს ელოდება.

როინ მეტრეველი
გურამ ლორთქიფანიძე

◎ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

მეღვინეობას მიეძღვნა

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2017 წლის 25-27 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში, ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები“. კონფერენციის ფინანსური მხარდაჭერა განახორციელა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მიზანი იყო ევროპის ქვეყნების და მათ შორის საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობის არსებული მდგომარეობის განხილვა, პერსპექტივების განსაზღვრა, ბიზნესის განვითარების დარგის პარამეტრების შემუშავებისათვის რეკომენდაციების მომზადება. კონფერენციის ამოცანას ასევე წარმოადგენდა — მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისათვის ევროპის ქვეყნების და მათ შორის საქართველოს სამომავლო პერსპექტივების ჩამოყალიბება, ევროპის და სხვა ქვეყნების მეცნიერების მიერ დარგში მიღწეული ინოვაციური ტექნოლოგიების განზოგადება და დარგის შემდგომი აღმავლობისათვის მეცნიერების და სხვა სპეციალისტების კვლევების და სამეცნიერო მიღწევების კუთხით ურთიერთგაცვლითი ღონისძიებების ჩატარების საფუძვლების მომზადება.

კონფერენციის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, იტალიის, რუმინეთის, ესპანეთის, სლოვაკეთის, უკრაინის და მოლდოვის მეცნიერებმა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის და ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის პრეზიდენტი, პროფ. მიშელ ტაიბიერი, ხოლო რუმინეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა რუმინეთის სოფლის მეურნეობის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. გეორგ სინი.

კონფერენცია გახსნა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ. კონფერენციას მიესალმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გიორგი კვესიტაძე, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. მიშელ ტაიბიერი, რუმინეთის სოფლის მეურნეობის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. გეორგ სინი, უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკად. ვლადიმერ ხარება, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრი ავთანდილ მესხიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. გიორგი ქვარცხავა, მილანის (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორი ფაბიო კუაგლინო, სევილიის (ესპანეთი) უნივერსიტეტის პროფესორი რაფაელ ოსეტე რუბიო, ბრატისლავას (სლოვაკეთი) უნივერსიტეტის პროფესორი იოსეფ ტურაკი, ვ.ტაიროვის მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ლუდმილა კონუპი (ოდესა, უკრაინა), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორი, დოქტორი ლევან უჯმაჯურიძე.

კონფერენციაზე სულ წარმოდგენილი იყო 68 მოხსენება, მათ შორის 18 პლენარულ სხდომაზე, რომელიც ეხებოდა ევროპის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის არსებულ მდგომარეობას, ამ დარგის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს და სამომავლო პერსპექტივებს, დარგის გენოფონდის დაცვის ღონისძიებებს, ევროპის ქვეყნებში დარგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად და თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების განხორციელების მიმართულებებს და ა.შ.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის ევროპული სამყარო გაეცნო ქართული მევენახეობის საწყისებს, ოჯახური მევენახეობა-მეღვინეობის თავისებურებებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს, ქართული ვაზის უმდიდრეს გენოფონდს, რომლის მიმართ დიდი ინტერესი არსებობს და იგი ხელს შეუწყობს მსოფლიო არენაზე მის დაცვას კანონიერების სრული მოთხოვნით. აღინიშნა, რომ საერთაშორისო კონფერენცია იქცა ერთ-ერთი მეტად საჭირო, ეფექტურ ღონისძიებად ამ ეროვნული დარგის ეკონომიკური პოტენციალის რეალიზების თვალსაზრისითაც.

კონფერენციის შემაჯამებელ სხდომაზე მიღებული იქნა დეკლარაცია, რომელიც აღიარებს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის მჭიდრო, საქმიანი კავშირების დამყარების დიდ მნიშვნელობას და სამეცნიერო ფორუმების სისტემატური ჩატარების აუცილებლობას ქვეყნების სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით.

კონფერენციის პროგრამით განხორციელდა გაცნობითი ექსკურსიები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას ექსპერიმენტულ ბაზაში, ალ. ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმში, ნაფარეულის „ტყუპების მეღვინეობის კომპანიაში“ და ყვარელში კომპანია „მეღვინეობა ხარება“-ს ობიექტებზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრესცენტრი,
ჟურნალისტი სალომე კიკნაველიძე

რეზო გაბრიაძე



ძველი თბილისის დილა რეზო გაბრიაძის შემოქმედებაში კარის შეღებასავითაა. იმ აზიურ-ევროპული ქალაქისა, რომელსაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაგვამშვიდობა იოსებ გრიშაშვილმა – „ძველო თბილისო, გტოვებ, ნახვამდის!“ და, თუ დღეს გაგვიჩნდება სურვილი ისტორიულ ქალაქში დაბრუნების, იმ დროის სურნელების შეგრძნების, ანჩისხატის ეკლესიასთან მისასვლელ პაწაწინა ქუჩას უნდა გავუყვეთ, რეზო გაბრიაძის მარიონეტების უნიკალურ თეატრს მიდგმულ დამრეც კოშკს უნდა ჩავუაროთ და იმ მოედანზე აღმოვჩნდებით, რომლიდანაც მზის სხივებივით იშლება ქალაქის ცხოვრების ხელისგულის ხაზები.

თბილისი აქედან იწყება.

აქედან „наступает знаменитый Тифлисский рассвет, – დამიხედეთ ერთი, რარიგ ნარნარად ამოდის ცხოველმყოფელი მნათობი, როგორ გაუბედავად ელამუნება მისი ალერსიანი სხივები ტფილისის ნატიფ ჯვრებს“, – იტყვის გენერალ-მაიორი, თავადი ვანო ფანტიაშვილი და ზიპოც არ დააყოვნებს რეაქციას: „გათენდა? მაშ, ნავთი ტყუილად იწვის (აქრობს *ლამპას)“.*

ასე იწყება „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი. ასევე თბილისის დილით იწყება რეზო გაბრიაძის ეს-ესაა გამოცემული წიგნი „Gedevani“, გარდამტეხი XIX საუკუნის თბილისური განთიადით.

„1802 წლის ოც-და-ორი აპრილი, ანდა ოც-და-სამი ივლისის მზიანი დილა...

...მტკვარი ადგილზე იდო, გვალვისგან სულ დალეულ-დაწყნარებული.

მტკვარში მეთევზე იყო ჩადგმული მრუდედ და კეფას იფხანდა თავისთვის.

კუთხიდან ძაღლი გამოვიდა საშოვარზე. კუდი აკლდა. დადგა, უმნიშვნელო თხელი ჩრდილით ფეხებქვეშ, უყურა სანაგვის შინაარსს – ერთი კიტრის კანს, მისსავე თავს და მისსავე ბოლოს კუდით.

ძაღლი გაიზნიქა, დაამთქნარა და უკან გაჰყვა გამვლელ მემთვრალეს.

რიყეზე ტივი ეგდო, უკვე არავისი. გამომშრალი, აბალახებული, ნახევრად წაშლილი.

აივნის ქვემოთ, ტოტზე ტყლაპი შრებოდა, იქით – ტარანი...

...შორიდან ისმოდა სიმღერა. ბაიათი სევდა-კაეშნისა, დაკარგული სიყვარულისა, უიმედო გრძნობისა, გარდაცვლილ სურვილებისა და წაშლილ საფლავებისა“.

აღმოსავლური ქალაქის გაზმორება და დროსა და გვალვაში ჩარჩენილი ყოფის უძრაობა. ავ დროებას შეფარებული გონების სიზანტე, რომელსაც ქალბატონ რუსუდან-დარეჯანის მიერ ძველი „საფილოსოფო წიგნის“ გვერდების გადაფურცვლა ასე თუ ისე აფხიზლებს: „ფილოსოფოს არისტოტელეს უთქვამს: „ბაყაყმა თუ ყიყინს მოუხშირა, წვიმა წამოვიდესო“.

ეს სურათი „ანგელოზების ნაკარნახევი ნახატია“, – გაბრიაძის სიტყვებით ვიტყვი.

და ამ დუნე იდილიაში შემოიჭრება „მარში უზარმაზარი რადიუსით!“ ვირის ხიდს თავზარს დასცემს „ნალებით დაჭედილი, თითქოს რკინის ჩექმების რიტმული ბრახუნი“.

ახალი ძალა შემოდის ქალაქში, სიახლის ავანგარდი: „კორნეტები! ალტ გორნები! ტენორ გორნები! ბარიტონ ეიფო ნიუმები! ბასებისა და კონტრაბასების ტუბები“.

გაისუსტება დაირა, გაჩუმდება. ტახტის ქვეშ ჩაქრება ოქროთი ნაქარგ ქოშებში.

გაირინდება თბილისი.

და იწყება სასწაული.

„მოსახვევიდან დაბნეული პეპელა გამოფრინდა, ცალ ფრთაზე გადარჩენილი ერთი წამწამით“.

რეზო გაბრიაძის კალმით ჩამოქნილი ეს წინადადება ცალკე სასწაულია!

„სუფთა, სუფთა ძონძებში გამოწყობილ სამ ფეხშიშველა ახალგაზრდა რაჭველს და ერთ, ცოტა ასაკოვან ლეჩხუმელს თბილისში შემოაქვთ შავი როიალი!

ქალაქი შეჰყურებს ამ სასწაულს“.

და – ყურადღება! „...როიალის გამოჩენას თბილისის ქუჩებში თავიდან მოყვება ერთი მკელობელი ყმაწვილი კაცი, ფოსტლებში ჩქარად ჩაცმული, ლურჯ პერანგში, გვარად ბარათაშვილი. ტატო“.

ევროპულ კლასიკას ქართული კლასიკა ერწყმის, მასპინძლობს, უერთდება, მდიდრდება.

თბილისში იხსნება ოპერის პირველი თეატრი.

„ქალაქი აივსო დუეტებით, კვარტეტებით, სექსტეტებით, ნონეტებით, არიებით“. თბილისი, შენიშნავს რეზო გაბრიაძე, დანებდა მოცარტს, როსინის, ბახს, ბეთჰოვენს. მაგრამ ამავე დროს: „საქართველო უბრუნდება თავის მუსიკალურ სამყაროს!..სადაც ეკლესიის გუმბათები ისევ სავსეა მძლავრი გუნდური ვედრებით!“

„დაიწყო სასწაული – XIX საუკუნე საქართველოში“.

თითქმის სიტყვასიტყვით გადავწერე წიგნის შესავალი. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ვერ გავიმეტე მე – ეგოისტმა, მკითხველისთვის დამეთმო პირველობა ამ სასწაულთან შეხების.

გაბრიაძის „Gedevani“ ზეჟანრული ნაწარმოებია – ესსეც არის, ისტორიული ნარკვევიც და – არც არის, თუმცა ორივეს ელემენტებს შეიცავს, რეპორტაჟისაც და კიდევ სხვა ჟანრებისაც. მოკლედ, მხატვრული სურათია, მოზაიკა, მძივად აკინძული, ორიგინალური რამ ნაწარმოები, რომელიც ყველაზე უფრო მისსავე ნახატების სიმარტივის სიღრმისეულობას ესადაგება.

სტილი – დახვეწილი, ანკარა ქართული, რომელიც ალაგ-ალაგ (როცა საჭიროება მოითხოვს) გრამატიკის მკაცრ წესებსაა აცდენილი და გულს გითბობს, სულს გიმშვიდებს, გიშინაურდება.

გაბრიაძისეული პარადოქსი!

ვერ წარმომედგინა, მხოლოდ აქ ვნახე, რომ საგნების, ფაქტების, მოვლენების, ტენდენციების უბრალო ჩამონათვალი, ისტორიული ეტაპის თავისებურებათა გადმოსაცემად მოწოდებული, ოსტატის ხელში ვერლიბრის ყალიბში შეიძლება ჩამოისხას და პოეზიის ნიმუშად გამობრწყინდეს.

XIX საუკუნის საქართველოში, კაცობრიობის მიღწევებთან ერთად, „ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი, გაუგონარი, უჩვეულო რამეების შემოჭრას რეზო გაბრიაძე გადმოგვცემს ასე:

„გამრავლდა და გაფერადდა „შენ გენაცვალე“, „შენი ჭირიმე“.

ხის კალმისტრები და მასში რკინის კალამი!

ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი, მძიმე!

იოდი!

მოსახვევი კალენდარი!

ხალი ლოყაზე ქიმიური ფანქრით!

აფიშა!

საშლელი!

საკერავი მანქანა!

კავარადოსის არია!

ტელეფონი!

რიუკზაკი!

ჰიდროსტატიკა, ბაქტერიების აღწერილობა, დოპლერის ეფექტი!

გიტარა! როგორც ამბობდნენ, ჩხუბში არასანდო! მოსასმენად მშვენიერი!

ყოველ დაცხიკებაზე დამსწრეთ კეთილი სურვილის გამოთქმა:

„სიცოცხლე და ღვთის წყალობა!“ Gesurdheir (გერმ.).

გეოგრაფიული რუკები!

სიმბოლური ალგებრა!

სამყაროს უსასრულობა!

აცრები!

დაბა ლაგოდეხი! (Лагерь отдыха).

გეომეტრია!

მიწის მზომელები!

ახალი სანაგვეების დამკვიდრება!

ატმოსფეროს არსებობა ვენერაზე!

დაინომრა სახლებიც – კენტები ერთ მხარეს, ლუწები – მეორე მხარეს. დრომ წაიღო და გაანიავა წვერები, ულვაშები...“

„XIX საუკუნე ქარიშხალივით შემოიჭრება საქართველოში“: „შემოდის „თაიმსი“, ევროპული და რუსული გაზეთები. იბადებიან ილია, აკაკი, ვაჟა“...

ხომ გადმოიღვარა ეს ამოდენა ემოციის ტალღა ისტორიის ორიგინალური (და ჯერ არნახული) გადმოცემის. მხოლოდ რეზო გაბრიაძეს შეუძლია ასე.

მაგრამ „შერეკილების“ ავტორი იუმორის გარეშე?!

ინებეთ:

„ცუდიც ბევრი შემოვიდა. ვთქვათ, ბალკონზე ლოტოს თამაში უსირცხვილოდ“ და კიდევ სხვაც, რასაც წასაკითხავად გიტოვებთ წიგნის მე-19 გვერდზე.

და აქ რეზო გაბრიაძისთვის მთავრდება XIX საუკუნის პირველი პერიოდი, სახელწოდებით – „როიალი“, რომლის „შავ ფრთაში ნარნარებს თბილისი, იკლაკნებიან სახლები, სახეები, ღობეზე ჩამოკიდებული ჯიშდაკარგული ყვავილები!

ღვთაებრივი კვიპაროსები!

დიდებული სიონი! ჩვენი იმედი, მუდამ მართალი, მუდამ შენი, მუდამ მლოცველი და შემწყნარებელი!“

„როიალი“ ჰქვია წიგნის პირველ თავს.

მეორე თავი „რენტგენია“, რომელშიც ჩვენთვის უკვე ნაცნობი მთელ მსოფლიოს“, ხოლო ეიფელის კოშკი რეზო გაბრიაძის შედევრების ლამის საფირმო ნიშანია, რომლის შესახებ „თბილისის აივნებსა და ვირის ბაზარზე, პესკებზე, ვოდოვოზნაიაზე, სამჭედლოებში, ღამის თონეებში არსებობს უამრავი, ერთმანეთის გამომრიცხავი კონცეფციები, მითქმა-მოთქმა, მტკვრის პირას, ქვიშაზე ფეხის თითით დახაზული კოშკის ვარიანტები! დუქნებში კი, დატკეპნილ იატაკზე ხანჯლის წვერით, საზამთროს კანზე ფრჩხილით ამოკაწრული ან კედელზე ნახშირით დახატული კოშკის პროექტები“.

პარიზი მეცნიერების ქალაქიცაა, მედიკოსების მათ შორის.

ამ ქალაქში „გენიალური ექიმის შარკოს კლინიკაში“ სწავლობს მიხეილ გედევანიშვილი ფსიქიატრიას, ნერვულ დაავადებებს და მათი მკურნალობის უახლეს მეთოდებს.

როიალს ერთი ყმაწვილი კაცი მოჰყვებოდა, გვარად ბარათაშვილი. ტატო...

სასწაული XIX საუკუნე საქართველოში

რუსუდან-დარეჯანი ისევ გამოჩნდება განუყრელი ფილოსოფიური წიგნით და პეპელასავით მოფარფატე პენსნეთი:

„ნიუტონი ფილოსოფოსი იტყოდა: „ადრე წოლა და ადრე ადგომა კაცსა მატებს ჯანსაღობასა, ჭკუასა და სიმდიდრეს. კბილებისათვის აქლემის შარდი უზმოზე დალიე და მოგირჩება სრულიად“.

ზუზუნებს ელექტრობოძი, რომელზეც მონტიორი „რაღაცას ფეიქრობს მავთულებით!“ ორყანიანი აზნაური ბალკონის ქვეშ ჩაივლის. „ბოლოკის თაიგულით გულზე“ მობრძანდება ყარაჩოხელი „თუჯის წვერით“. აივანზე უსახლკარო ლოკოკინა გაცოცდება და რუსუდან-დარეჯანი წაიშლება „სარკის აცვენილ ამალგამების შავ ლაქებში“.

1895 წლის 8 ნოემბერს რენტგენი აღმოაჩენს X სხივებს და დაიპყრობს ეს სხივები პლანეტას.

ერთი წლის შემდეგ კი „თბილისში უკვე იდგა რენტგენის აპარატი“.

ამ აპარატის შემომტანის – მიხეილ გედევანიშვილის, ამ დიდებული ადამიანის – ნევროპათოლოგის, ფსიქიატრის, რენტგენოლოგის, ფიზიოთერაპევტის, საზოგადო მოღვაწის ცხოვრებასა და საერო-პროფესიულ მოღვაწეობის ამბავს ეძღვნება წიგნი.

მიხეილ გედევანიშვილი, შემდგომ უკვე ევროპაში აღიარებული და Gedevani-ად წოდებული მეცნიერი, მეუღლითურთ „1885 წელს შვიდი ენით შეიარაღებული, ნარინჯისფერი ჩემოდნებით მიემგზავრება პარიზში!“

მისი მეუღლე, ანასტასია, ცალკე პოემაა – თანამოღვაწე ქმრისა და მამულიშვილურ საქმეში მისი ერთგული თანაშემწე.

პარიზს წიგნის ერთი თავი ეძღვნება, ქალაქს, რომელიც „მაგნიტური ძალით იზიდავს სახელსაც იხვეჭს.

„მაგრამ ერთმა დიდმა აღმოჩენამ ბატონ მიხეილს გეზი უცვალა!.. ეს იყო რენტგენის სხივები“, და იგიც „გადალახავს თავის რუბიკონს: ცოლ-ქმარი ბრუნდება თბილისში. „რა სულიერი ძალა უნდა ჰქონოდათ, რომ მიეტოვებინათ პარიზი! ქალაქი-ოცნება“.

ჩამოდის თბილისში და ყორღანოვის ქუჩის მე-20 ნომერში, თავის სახლში გახსნის რენტგენის კლინიკას, რომლის აღჭურვილობას ევროპაში შეიძენს და თბილისში ჩამოიტანს.

თბილისში, იმდროინდელ „პატარა, მტვრიან დაუცველ, ბებერ და ღარიბ ქალაქში“, პაციენტების დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ახალი ეპოქა იწყება. უძნელეს პირობებში და არნახული თავდადებით, რადგან რენტგენის აპარატის მომსახურე პერსონალის არყოლის პირობებში, მიხეილ გედევანიშვილს მათი ფუნქციების შესრულებაც უხდებოდა ექიმის მოვალეობის პარალელურად.

ამასობაში დრო აჩქარდება: „ჩქარობს მე-19 საუკუნე“. და ამ პერიოდის კატასტროფულ სვლას რეზო გაბრიაძე ისეთი შტრიხებით გადმოგვცემს, მხატვრის ფუნჯის ისეთი მოსმით, რომლებიც უზუსტესია. მხოლოდ ზოგიერთს მოვიხმობ:

„აგრუხუნდა მე-20 საუკუნის ქარიშხლები. აიჩეჩა დრო, დრო ძუნძულით მირბოდა უფსკრულისკენ.

...გარშემო ომი და რევოლუციების „რეპეტიციები“!

...ჰაერში სფერული ელვა დადის და სად დასჭექს, კაცმა არ იცის!

მოკლეს ილია!

დაცარიელდა ქვეყანა“.

შემდეგ და შემდეგ – „დამოკლდა კაბები! გაწითლდა ტუჩები! თბილისში გაისმა ტანგო, ვნებიანი! სიკვდილივით დაუნდობელი!

მენახშირეებმა ტრაქტატების წერა დაიწყეს! ასენიზატორებმა

— „მემუარების“.

ფიზიკამ სადღაც გადაუხვია და განუყოფელის გაყოფა დაიწყო“.

ექიმ გედევანიშვილს აღმოაჩნდა ძალა და უნარი ამ „ქარბუქის გადალახვის“, დღე და ღამე მუშაობს. „არ სძინავს ექიმს, არ სძინავს ქალბატონ ანასტასიას“.

ყორღანოვის ოცთან ყოველთვის რიგია. კლინიკაში იმ დროისთვის უახლეს მეთოდებს გამოიყენებენ, მათ შორის, რენტგენოდიაგნოსტიკას და რენტგენოთერაპიას. ახლადაღმოჩენილი სხივებით მკურნალობენ კანის დაავადებებსა და ავთვისებიან სიმსივნეებსაც კი.

„ძალიან ბევრი ჩვენი წინაპრის მაშინდელი რენტგენული სურათი დღემდეა შემორჩენილი ბატონი მიხეილის შვილიშვილის, ქალბატონი მანანა გედევანიშვილის ოჯახში“.

პროფესიული თავდადების, თანალმობის ერთი სურათის დახატვით რეზო გაბრიაძემ ექიმის მაღალი სულიერება და უანგარობა სრულად წარმოაჩინა... გედევანიშვილი ნერვიულობს:

„ამ შუაღამისას, ოთხ საათზე, სად არის ამ საწყალი მეურმის აკანკალებულ ხელში დამსხვრეული ძვალი?

ან ვის დაუტოვა ამ საცოდავმა ურემი ბაზარში?!

ხარ-კამეჩი?! ორივ ერთი დღით ნათხოვარი?

მიხეილი ანასტასიას აპარატთან ტოვებს და გარბის წვიმაში, ხარები რომ გადაურჩინოს იმ საცოდავს, მის გატიალებულ სოფელს! დღე და ღამე მუშაობს რენტგენის აპარატი“.

და ამ ყველაფერს ემატება მიხეილ გედევანიშვილის ღვაწლი სულით ავადმყოფთა მკურნალობის ახალი, ევროპული, ადამიანური, მეცნიერული და ჰუმანური მეთოდების დანერგვის საქმეში. სულით ავადმყოფთა პირველი კლინიკა-თავშესაფარი საქართველოში მისი დაარსებულია.

მანამდე ამ უბედურთა მშველელი, ნუგეში და შემწყნარებელი ჩვენი ეკლესია იყო.

„ალბათ, ჩვენში ჰიპოკრატეს ფიცის ასეთი ერთგული ექიმი არ გვყოლია“.

1914 წელს ქართველმა ხალხმა გედევანიშვილის შრომითა და ხარჯებით დასტამბული „ძვირფასად გამოცემული, ფერადად ილუსტრირებული ილიას ნაწარმოებთა პირველი სრული კრებული მიიღო“.

ილია ჭავჭავაძეს „Gedevani“-ში ერთი ლამაზი პასაჟი ეძღვნება, კერძოდ კი 29-31-ე გვერდებზე, იქ, სადაც რეზო გაბრიაძე „პატარა ხანს“ დასვენებას შემოგვთავაზებს.



„აქ სულ ახლოს „ივერიის“ რედაქციაა და ბატონი ილია ჭავჭავაძე ცხოვრობს ამ უბანში“.

აქ წიგნის მთელ გვერდზე გამოქვეყნებულია ილიას ცნობილი ფოტოპორტრეტი — შავი შლაპითა და პალტოთი, „ივერიის“ რედაქციის წინ გადაღებული. მე-19 საუკუნის ფოტოებში „ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფოტოა ჩვენთვის. საუკუნის ფოტო“, — მიიჩნევს ბატონი რეზო და შეგვახსენებს, რომ „ილია გახლდათ ის ადამიანი, რომელმაც პირველმა დაიჯერა მიხეილ გედევანიშვილის შესაძლებლობები და იდეალები.

ამიტომ იყო, რომ ილიამ გაზეთ „ივერიის“ შენობაში, პირველ სართულზე ორი ოთახი დაუთმო გედევანიშვილის კლინიკას, მეორე სართულზე კი ოთხოთახიანი ბინა შესთავაზა საცხოვრებლად“.

ფრიად საინტერესო მოსაზრებებს ამოიკითხავთ „შენიშვნებში“, რომლებიც წიგნს ერთვის. ერთ-ერთს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევთ უთუოდ — დედაქალაქში ოპერის გახსნით ქვეყნის დაპყრობის დიპლომატიურ მეთოდს.

„ვორონცოვმა (*კავკასიის მთავარმართებელმა*), მართლმადიდებელმა კაცმა, მართლმადიდებელ ქვეყანაში ნახა გამოსავალი. მოხდა ისტორიაში გაუგონარი ფაქტი, რომელიც ჩვენთვის კომპლიმენტად შეიძლება ჩაითვალოს!

...გაუგონარი ამბავია მსოფლიოს ისტორიაში! ერი ჩაბარდა ტყვედ მონტე ვერდის, პაიზიელოს, როსინის, ბახს, მოცარტს, ბეთჰოვენს, შოპენს, ჩაიკოვსკის, შუბერტს!

ვორონცოვის დროს თბილისი ისევ გახდა ის მაგნიტი, რომელმაც მიიზიდა არამარტო მთელი საქართველო, არამედ ბევრი მეზობლისთვის საყვარელ და სანატრელ ქალაქად იქცა“.

როცა ამ შენიშვნებს წაიკითხავ, გაეცნობი დიმიტრი და შალვა გედევანიშვილების მამულიშვილურ მოღვაწეობას, ეპილოგსაც, რომელშიც ავტორი ისტორიას შემორჩენილი ქართველი ექიმების გვარ-სახელებს (ქუთაისელებს ცალკე) ჩამოთვლის და ამ სიის ჩვენთვის ცნობილი ექიმების გვარებით შევსებას შემოგვთავაზებს („რათა თქვენმა შთამომავლობამ არ დაივიწყოს მათი სახელები“), როცა გეგონება, რომ ბოლო გვერდიც გადაშალე, სწორედ მაშინ ამ ბოლო გვერდსა და ყდას შორის აღმოაჩენ პატარა ფურცელს — „მიმართვა მკითხველს“, რომელიც უწინ გამოცემული წიგნების აუცილებელი ატრიბუტი იყო — შეცდომების გასწორება, და რომელიც დღევანდელ ბეჭდურ პროდუქციას აღარ ერთვის, რადგან იქ დაშვებული შეცდომების გასწორება ერთ იმხელა წიგნს აავსებდა.

წაიკითხეთ! ეს ცალკე სიამოვნებაა.

მკითხველისადმი ამ ორიგინალური მიმართვის ბოლო აბზაცით დავამთავრებ რეზო გაბრიაძის წიგნის „Gedevani“-ის ემოციურ, მაგრამ გულწრფელ წარდგენას, ანუ, „ახალი ქართულით“ რომ ვთქვა, პრეზენტაციას.

„მე-19 საუკუნე საქართველოსთვის უდიდესი გამოცდა იყო. მე-19 საუკუნეში ევროპამ გადაფარა საქართველო უზარმაზარი მიღწევებით — ფილოსოფიაში, მათემატიკასა და ფიზიკაში, აღმოჩენებით — ხელოვნებაში, ლიტერატურაში, იურისპრუდენციაში. სასწაულია, როგორ მოახერხა ქართველმა ერმა ამის ათვისება, შესწავლა. სად ნახა ძალა, როგორ გაუძლო ამ გამოცდას, როგორ შეითვისა ისე, რომ საუკუნის ბოლოს მას უკვე ჰყავდა ევროპის დონის მეცნიერები. ჰქონდა თეატრი, მუსიკა“.

არმაზ სანეგლიძე



P. S. მაგთიმ, როგორც ყოველთვის, რეზო გაბრიაძის „Gedevani“-ის გამოცემით კიდევ ერთი კარგი საქმე გააკეთა“.

ა.ს.

წიგნი იყიდება გიგლუსის მაღაზიების ძალში.

ზურგის სანატრელი ქარი, მეგობრებო!..

ბიოგრაფიული რომანისტიკის ორი ახალი ნიმუშის გამო

ვკითხულობ გამალებით ბატონების: როსტომ ჩხეიძისა და ელგუჯა თავბერიძის დოკუმენტურ პროზას და აღფრთოვანებული და ცას მიმზერებული ამ ორი დიდი მწერლის ნიჭიერებითა და შესაძლებლობებით, როგორც ერთ-ერთი მკითხველი და რიგითი ლიტერატორი მივდივარ ასეთ დასკვნამდე, ამ ორმა გასაოცარმა მწერალ-მოღვაწემ ახალი ჟანრი დაამკვიდრა მწერლობაში — მხატვრული დოკუმენტურობა!



ასეთი ბრწყინვალე, მხრებზე წამომკიდებელი თხრობა, შედარებები, მოქმედებათა „ფერადოვნებანი“, გმირთა გასაოცარი სახეები, ცნობიერების ნაკადით შემოსული თხრობანი და სხვა, უმაღლესი ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ხერხები სხვაგან, ამავე ჟანრად სახელდებულ ქმნილებებში გიხილავთ?

არავის ღვაწლს არ ვაკნინებ, მაგრამ ვინც წაიკითხა როსტომ ჩხეიძის რომანი „პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა“, დამეთანხმება, რომ ეს ნაწარმოები უფრო დიდია, თავისი თუნდაც მხატვრული სიმაღლეებიდან გამომდინარე, ვიდრე მხოლოდ დოკუმენტური პროზა, რომელიც არამარტო ჩვენში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში მშრალი ფაქტების „რია-რიით“ გვხდება ხოლმე.

ამ ბრწყინვალე ბიოგრაფიულმა რომანმა, გარდა ბიოგრაფიულ-დოკუმენტური დანიშნულებისა, შეიძინა სხვა სახე და ეპისტოლური სამყაროს სახებით მაღალმხატვრულ სიმაღლეებზე აიყვანა თხრობის არისტოკრატიულობა!

ბატონი სოსო სიგუას დიდებული რომანი „მარტვილი და ალამდარი“ თემიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სახით წარდგა მკითხველის წინაშე, მაგრამ „პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა“ პირადი წერილების გაშლითა და მისი დოკუმენტურ- მხატვრული წარმოჩინებით უფრო სრულყოფილად ხატავს დიდოსტატ კონსტანტინეს სახესა და სიყვარულის მშფოთვარე გზებს.

ახლა ცნობიერებაში შემომიცურდა ჩესტერფილდი — წერილები ჩემს ვაჟს, რამდენ ასეთ წერილსა და უგზოუკვლოდ გაბნეულ თუ ზუსტად და დროულად მისამართებულ ბარათზე ჩაგაფიქრებს ეს ნაწარმოები.

ავტობიოგრაფიული ჩანაწერებითა და პირადი წერილების გადაფურცვლით ასეთი ლიტერატური ტაძრის აგება დიდოსტატებს ძალუძთ მხოლოდ.

იგივე ითქმის ელგუჯა თავბერიძეზეც, ამ ფუტკარივით მოფუსფუსე და მოჯაფე მწერალსა და მოღვაწეზე, მან შეძლო აშორდიების ბნელითა და კითხვის ნიშნებით მოცული სახეები მხატვრულ-დოკუმენტური მშვენიერებით წარედგინა გემოვნებიანი და ნაღდი მკითხველებისთვის. აშორდია-ეპოქა და ეპოქა-აშორდია, ასეთი ღრმა ხედვით დახატა ჩვენი ქვეყნის ყველაზე რთული და ამავდროს საინტერესო ეპოქა. კლასიკური, სახელმწიფოებრივ სიმაღლეებამდე აზიდული ავანტიურისტული, შოვინისტური მოქმედებების შედეგად გასაცოდავებულად მომზირალი, დაყოფა-დანაწევრებისა და კუთხურობის დამღუპველ სენამდე დასული ჩვენი სამშობლო, რომლის მისაწყლებული და დანაოჭებული სახე ასე არავის დაუხატავს დავით კლდიაშვილის შემდგომ და ესაა სწორედ მწერლური სიდიადე და უბადლო ნიჭიერება!

გილოცავთ: მხატვრული დოკუმენტალიზმის, როგორც ლიტერატურული ჟანრის ლიტერატურის დიდ ოკეანეში შეცურებას, სადაც სხვა დიდ გემებთან ერთად ტალღებს სერავს დიდი ჯეიმზ ჯოისის „პორტრეტი ხელოვანის სიჭაბუკისა“, წინ გასაოცარი რამეები გველოდება! ზურგის ქარი ვუსურვოთ ერთმანეთს, ზურგის სანატრელი ქარი, მეგობრებო!..

ლაშა გვასალია

გასაცინებელი ა(მ)ბები

ზუსტი საზომი

ცნობილ ლონდონელ ლარინგოლოგს ჰკითხეს: ვიდრე ავადმყოფის გასინჯვას დაიწყებდეთ, რატომ ეკითხებით სადილად რა ჭამეთო. რა კავშირი აქვს სადილს — ყურთან, ყელთან და ცხვირთან?

— რა კავშირი აქვს და პირდაპირი, — მიუგო ლარინგოლოგმა. — სწორედ პასუხის მიხედვით ვადგენ ჩემი ჰონორარის თანხას.

სანაძლეო

ბრაუნი და სმიტი ლომებზე ნადირობენ. საფარში მიყუჟულნი ელიან, როდის გამოჩნდება მძვინვარე მხეცი.

— ათ წუთში ის ლომი ჩემი იქნება, — დაიტრაბახა სმიტმა.

— რაღაც არა მგონია! — შეეპასუხა ბრაუნი.

— სანაძლეო დავდოთ! — შესთავაზა სმიტმა.

— დავდოთ! — დაეთანხმა ბრაუნი.

— წაგებული ას დოლარს იხდის.

— ეგრე იყოს.

სმიტი დასწვდა თოფს და საფარიდან გავიდა. ათ წუთში საფართან მიჩოჩდა ლომი:

— თქვენ იცნობთ მისტერ სმიტს? — იკითხა მან.

— ვიცნობ, — მიუგო ბრაუნმა.

— ძალიანაც კარგი, სანაძლეო წააგო.

მავანი ძია კაცი

მოკვდა მავანი ძია კაცი, რომელიც მრავალი წელიწადი თავის ნათესავებთან ცხოვრობდა. დაკრძალვიდან დაბრუნებულმა სმიტმა შვებით ამოისუნთქა და ცოლს გამოუტყდა:

— როგორც იქნა, სიმართლე უნდა გითხრა. მხოლოდ შენი სიყვარულის გამო იყო, რომ ამდენ ხანს ავიტანე იმ კაცის სტუმრობა.

— მე რა შუაში ვარ? — გაიკვირვა ცოლმა. — განა ის ბიძაშენი არ იყო?

ყვავილები

გოგო პაემანზე მიდის. ბიჭი ყვავილებს აწვდის.

— მომწონს, მაგრამ... — ეუბნება გოგო, — ეს ხომ ხელოვნური ყვავილებია.

— მართალი ხარ, ოღონდ პაემანზე ყოველთვის იმდენს აგვიანებ, რომ ცოცხალი ყვავილების მოტანას აზრი არა აქვს, მაინც დაჭკნებოდა.

დაეჭვება

ერთ პატარა ლონდონურ რესტორანში შექეიფიანებული სტუმარი საკიდრიდან პალტოს ჩამოიღებს და რის ვაივაგლახით იცვამს...

— თქვენ ბატონი სმიტი ბრძანდებით? — ეკითხება იქვე მაგიდასთან გვერდით მჯდომი კაცი.

— არა, რა ხდება?

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენ ბატონ სმიტის პალტოს იცვამთ, სმიტი კი მე ვარ...

ᲒᲐᲭᲠᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲐᲡᲔᲗᲘ „ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ“?

„ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲐ“, — ასე თვლის რუსეთი. **„სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია“,** — მიიჩნევს საქართველო და მთელი დანარჩენი მსოფლიო. **ამასობაში კი ყოფილი გერმანელი სამხედრო მოსამსახურე ახალი ომის თავიდან აცილებას ცდილობს“,** — ასე იწყება ვრცელი სტატია, რომლის ავტორი დანიელ შულცი თვითონ იმყოფებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, საოკუპაციო ხაზთან ახლოს.

„რა არის საზღვარი? საზღვარი ისაა, რომ შენ იმ ტუალეტით სარგებლობა უკვე აღარ შეგიძლია, რომელიც საკუთარ სახლთან, ეზოს განაპირას გაქვს მოწყობილი. ერთ მშვენიერ დილას იღვიძებ, მიდიხარ „საჭირო ადგილზე“ და ხედავ, რომ იქ მავთულხლართებია გაბმული... ანდა, ვთქვათ, წინაპრების საფლავების მონახულება გინდა, მაგრამ სასაფლაომდე მისასვლელ გზაზეც მესერია აღმართული. საზღვარი ისაა, როცა შენს ბაღში ან იქვე ახლოს მდებარე ტყეში შეშის მოსატანად მიდიხარ, იქიდან კი ნაცემი და თავგატეხილი ბრუნდები.

„ჩვენ არ გვსურს რუსების პროვოცირება“, — ამბობს ჰანს-ჰენრიხ შნაიდერი. იგი 66 წლისაა და ახლა ბონში, საკუთარ სახლში, თავის ცოლთან ერთად გერმანულ ძეხვს უნდა შეექცეოდეს, მაგრამ ბედმა საქართველოში ყოფნა არგუნა: დგას ჰანსი ტალახში ამოსვრილი ყელიანი ფეხსაცმელებით დიცი-გუგუთიანთკარის გზაზე და საზღვარს დარაჯობს. შნაიდერი და მისი თანამშრომლები ორი ჯიპით არიან მოსულები, რომლებზეც ევროკავშირის ალამი ფრიალებს.

აქ, საქართველოში, რომელიც ოთხ მილიონზე ცოტა მეტ მოსახლეობას ითვლის და რომელიც რუსეთს, თურქეთს და ირანს შორის მდებარეობს, ევროპა-აზიის შემაერთებელ რეგიონში, ევროკავშირის დამკვირვებლები თვალს ადევნებენ მშვიდობის დაცვის რეჟიმს და დაშორიშორების ხაზის კონტროლს ახორციელებენ. ევროპელ დამკვირვებლებს იარაღი არ აქვთ, ისინი მხოლოდ ჭოგრიტებით, ღამის ხედვის ხელსაწყოებით და დიდობიექტივიანი ფოტოკამერებით დადიან. ისინი საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მომხდარი რვადღიანი ომის შემდეგ ჩამოვიდნენ. იმ დროს საქართველოს არმია, სამხრეთ ოსეთის გაკონტროლების მიზნით, რუსეთის არმიებს ებრძოდა. სამხრეთ ოსეთი მცირე რეგიონია საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, 75 ათასი მოსახლეობით და რუსეთს სამხრეთიდან ესაზღვრება. საქართველოს არმიამ ომი წააგო, რუსეთმა კი სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. თბილისი სამხრეთ ოსეთს რუსეთის მიერ უკანონოდ ოკუპირებულ ტერიტორიად მიიჩნევს.

გამოდის, რომ ეს „საზღვარი“ ნამდვილი საზღვარია?

„დიახ, ასეა“ — პასუხობს „სამხრეთ ოსეთის“ მთავრობა. საზღვარი რომ არსებობდეს, მაშინ სამხრეთ ოსეთი მართლაც საქართველოს ნაწილი იქნებოდა. „დიახ, ასეა“, — პასუხობენ რუსეთის, ვენესუელის, ნიკარაგუის და წყნარი ოკეანის რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფოს მთავრობები, რომლებმაც სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარეს. ევროკავშირის დამკვირვებლების შეფასებით, რუსეთმა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 4,5 ათასი ჯარისკაცი განათავსა. ამით მოსკოვი მიუთითებს, თუ რამდენად სერიოზულია მისი „დიახ“. თავის მხრივ, თბილისელი პოლიტიკოსები „არა“-ს ამბობენ და თვლიან, რომ ეს საზღვარი კი არა, საოკუპაციო ხაზია. ამასთან, საქართველოს მთავრობა ყოველნაირად ცდილობს, რომ არაფერი ისეთი არ გააკეთოს, რომლის მიხედვით, ვინმემ სამხრეთ ოსეთი სხვა სახელმწიფოდ არ აღიქვას.

ამიტომაც როცა მე ჰანს-ჰენრიხ შნაიდერთან ერთად ჯიპით იმ მავთულხლართამდე მივედი, რომელიც საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის გამმიჯნავ ხაზადაა მიჩნეული, იქ არცერთი ქართული სასაზღვრო პოსტი და არცერთი ქართველი მესაზღვრე არ დამინახავს. იქ მხოლოდ ჩვეულებრივი პოლიციელები დგანან. ჩვენი ავტომობილი საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან გაჩერდა, პატარა რუხ შენობებთან, რომლებსაც ინგლისურადაც დიდი ასოებით აწერიათ — „პოლიცია“, რომ მთელი მსოფლიოსათვის გასაგები იყოს. საერთოდ, რაც უფრო უახლოვდებით „საზღვარს“, პოლიციელები მით უფრო ემსგავსებიან ჯარისკაცებს: პისტოლეტებს ავტომატები ცვლის, ავტომატებს კი — შაშხანები. სულ უფრო ხშირად მოჩანს ბანერები, რომლებზეც რუსებს და ოსებს დიდი თეთრი ასოებით დაუწერიათ — „სახელმწიფო საზღვარი“. „საზღვართან“ უკვე გრანატებით შეიარაღებული ქართველები დგანან — შინაგან საქმეთა სამინისტროს „სპეცნაზი“.

საზღვარი... გაქრება კი ოდესმე ასეთი „საზღვარი“?

ჰანს-ჰენრიხ შნაიდერი მეუბნება: „ჩვენ, როგორც ჩანს, „ABL“-თან დაკავშირებულ პრობლემას ველარ გადავჭრით...“. ოჰ, დამავიწყდა მეთქვა, რომ ევროკავშირმა აქაურ „საზღვარს“ მხარეთა „დაშორიშორების ადმინისტრაციული ხაზი“ (ანუ ABL - Administrative Boundary Line) უწოდა. რას ვიზამთ... ეს არის არანეიტრალური სიტუაციის ნეიტრალურად წარმოსახვის მცდელობა.

რუსეთმა „ABL“-ის გასწვრივ ტერიტორიის მოსაწყობად დიდი ფული დახარჯა: ააშენა სამხედრო ბაზა, რომელიც, ევროკავშირის დამკვირვებელთა შეფასებით, ბევრად უფრო მეტ ჯარისკაცს დაიტევს, რამდენიც იქ დღესაა. სამხრეთ ოსეთს მომგებიანი სტრატეგიული მდებარეობა აქვს, აქედან თურქეთამდე მხოლოდ 160 კილომეტრია, ირანამდე — 500-700 კმ.

ჰანს-ჰენრიხ შნაიდერი თვლის, რომ ქართველები მართლები არიან, სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია უკანონოა. მაგრამ იგი იმასაც ამბობს, რომ ქართველების აბსოლუტური ჯიუტობის პოლიტიკა — არ დაელაპარაკოს (რუსეთს) — უფრო მეტ ზიანს აყენებს არა რუსულ არმიას და სამხრეთ ოსეთის მთავრობას, არამედ იმ ადამიანებს, რომლებიც „საზღვრის“ პირას ცხოვრობენ. რასაკვირველია, საქართველოს არ შეუძლია სამხრეთ ოსეთის აღიარება, მაგრამ აუცილებელია სიტუაციის ისეთი დარეგულირება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას „საზღვარზე“ გადასვლას გაუადვილებს. **„ჩვენ ამ პრობლემის (გლობალური) მოგვარება არ შეგვიძლია, მაგრამ ის, რომ დაეხმარო რომელიმე ადგილობრივ მცხოვრებს თავის მეზობელთან მივიდეს მავთულხლართის (მესრის) იქითა მხარეს, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს“,** — ამბობს ჰანს-ჰენრიხ შნაიდერი. თვითონ მას, რასაკვირველია, ბონში თავისი სახლი და ბაღი ენატრება, თუმცა... „შესაძლოა, როცა ბონში წავალ, შემდეგ ისევ აქ დავბრუნდე დამკვირვებლად, მაგრამ ამჯერად არჩევნებზე. არ მინდა აქაურობა დიდი ხნით მივატოვო“.

„Die Tageszeitung“ (გერმანია)

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲪᲐᲘᲢᲜᲝᲢᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ აფხაზეთში როგორც მოსახლეობის, ისე ენერგეტიკოსებისთვის ექსტრემალური დროა. აფხაზურ ენერგეტიკაში პრობლემები დიდია და ძველი. არც ქვესადგურები, არც გადამცემი ხაზებია გათვლილი ელექტროენერგიის მოხმარების იმ დონეზე, რომელიც ოკუპირებულ რეგიონში ბოლო წლებში ფიქსირდება. ქსელები მოძველებულია, მოხმარება კი ყოველწლიურად დაახლოებით 9,5%-ით იზრდება. ამდენად, ამინდის გაუარესებასთან ერთად ენერგეტიკოსებს ავარიებით გამოწვეული ცაიტნოტი ეწყებათ, მოსახლეობა კი ხშირი გათიშვებით იტანჯება; ქვესადგურები იწვება, საყრდენი ბოძები ეცემა, ენგურჰესზე ელექტროენერგიის გამომუშავება მკვეთრად ეცემა.

ავარიების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზი მაგისტრალების გათიშვა და საყრდენი ბოძების დაცემაა. როგორც „ჩერნომორენერგოს“ ახალი ხელმძღვანელი **ასლან ბასარია** აცხადებს, ივლისის თვიდან დღემდე აფხაზეთის მასშტაბით ზამთრის სეზონისთვის მზადების გეგმის ფარგლებში 766 საყრდენი ბოძი დაამონტაჟეს და მთლიანობაში 65,5 კმ ხაზები გაიყვანეს.

მისივე თქმით, როცა ხაზზე რაიმე შეხება ხდება, ეს გათიშვას იწვევს, ირთვება მაგისტრალი და თუ ეს მაგისტრალი 220 კილოვოლტიანია, ითიშება რესპუბლიკის ტერიტორიის 80%. ბასარიას ინფორმაციით, ბოლოს მაგისტრალების წმენდა 7 წლის წინათ ჩატარდა. წელს მაგისტრალური ხაზების 90% გაიწმინდა და ეს, ალბათ, დაახლოებით 5 წელს ეყოფა. კიდევ ერთი მთავარი პრობლემა მოსახლეობისა და საწარმოების დავალიანებებია. ასლან ბასარიას ინფორმაციით, 1 ოქტომბრისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური მომხმარებელთა მხოლოდ 51%-ს ჰქონდა გადახდილი. მისივე თქმით, ელექტროენერგიის მოხმარება ყველაზე სწრაფად გაგრის რაიონში იზრდება:

„ყველაზე რთული რაიონი ამ მხრივ გაგრაა. გვესმის ჩვენი მოსახლეობის, რომელსაც ბიზნესის კეთება სურს, თუმცა არსებობს სხვა შემადგენელიც: საცხოვრებელი სახლის ადგილზე რომ მინი სასტუმროს ან სასტუმროს ხსნი, იგი მარაგდება ხაზიდან, რომელიც, პირობითად, მთელ ქუჩას უნდა ემსახურებოდეს და მხოლოდ საცხოვრებელი სახლების მომარაგებაზეა გათვლილი. ამ ობიექტების მფლობელებს არც ტექნიკური პირობები აქვთ ელექტროხაზებთან მისაერთებლად, არც აღრიცხვის ხელსაწყოები და არც ეს ობიექტები აქვთ ლეგალიზებული კომერციულად. შესაბამისად, რომც იხდიდნენ, იხდიან, როგორც საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეები, ანუ, საუკეთესო შემთხვევაში, თვეში 400 რუბლს, იმ დროს, როცა რეალურად, ზოგიერთ შემთხვევაში თვეში შეიძლება, რამდენიმე ათასი რუბლის ელექტროენერგია ჰქონდეთ მოხმარებული. არადა, ქუჩაზე რომ გაიარო, სახლების 80% მინი სასტუმროებია. ბუნებრივია, მაგისტრალები გვეწვება, დატვირთვა გვეზრდება. ეს ძალზე დიდი და სერიოზული პრობლემაა და მხოლოდ „ჩერნომორენერგოს“ ძალებით ამას ვერ გავუმკლავდებით. უკანონოდ მოქმედი ობიექტების კონტროლზე აყვანა მხოლოდ ძალთა გაერთიანებითაა შესაძლებელი, ვინაიდან ინსპექტორ-კონტროლიორები დაცულები არ არიან და არ ძალუძთ, ზეგავლენა იქონიონ არგადამხდელებსა და კანონის დამრღვევებზე არანაირი სხვა ხერხით, დარწმუნების მცდელობების გარდა, ეს კი საქმეს დიდად არ შველის. ამდენად, ყველა რაიონში შეიქმნა ენერგეტიკული კომისიები, მათ მუშაობაში ჩაერთვნენ ადგილობრივი ადმინისტრაციები, ენერგეტიკოსები, ადგილობრივი შს განყოფილებების წარმომადგენლები“.

ასლან ბასარია იმედოვნებს, რომ შექმნილი კომისიები უახლოეს პერიოდში ამუშავდებიან და მათი საქმიანობა ზეგავლენას მოახდენს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სახით დაგროვებული ვალების გადახდის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲤᲮᲐᲘᲫᲔ

ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘᲐᲛ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲜ�გᲐᲨᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ!

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ, მოსწავლეებმა, ომის ვეტერანებმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ჯანდაცვის და საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლებმა, ასევე, სოხუმის დე ფაქტო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა რეგიონში ნარკომანიის საგანგაშო მასშტაბები გააპროტესტეს. აქცია 26 ოქტომბერს სოხუმში, სერგეი ბაღაფშის მოედანზე ჩატარდა ლოზუნგით: „აფხაზეთი ნარკოტიკების გარეშე“. ისინი სოხუმის ე.წ. მთავრობას ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებისკენ მოუწოდებენ. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, აქციაზე მისულმა დე ფაქტო განათლების მინისტრმაც აღიარა, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა გახდა ნარკოტიკებზე დამოკიდებული და ამას ერთობლივად უნდა შეებრძოლონ.

აქცია „სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი მარინა გუმბა ამბობს, რომ ეს პრობლემა ძალიან ბევრ ოჯახს შეეხო და იმისათვის, რომ მომავალი თაობა შეინარჩუნონ, „ძალიან ბევრი და ხმამაღლა უნდა ილაპარაკონ“.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „საპ ჯორჯიას“ და დავით გოგნაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „საპ ჯორჯია“ (ს/ნ 426109828), ქ. ბორჯომი, გრ. ხანძთელის 43;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, ნავთობაზის მიმდებარედ (ნაკვ. 5/9) (საკადასტრო კოდი: 01.19.14.005.009).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით გოგნაძე (პ/ნ 11001005628), ქ. ბორჯომი, გრ. ხანძთელის 43;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ბორჯომი, მერჩულეს ქ. №16 (საკადასტრო კოდი: 64.23.04.522).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 70744.60 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ით დასაბეგრი ქონების საკადასტრო კოდი: 01.19.14.005.009, თანხა შეადგენს 5886.30 ლარს).
4. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 15 ნოემბერი, 12:00 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** შპს „საპ ჯორჯია“ (ს/ნ 426109828), ქ. ბორჯომი, გრ. ხანძთელის ქ. №43;
შპს „გიო“ (ს/ნ 426110852), ქ. ბორჯომი, აკ. შანიძის ქ. №22;
დავით გოგნაძე (პ/ნ 11001005628), ქ. ბორჯომი, გრ. ხანძთელის 43.
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
9. **აუქციონის პირობები:**
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 15 ნოემბრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნანა შაინიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანა შაინიძე (პ/ნ 33001067689), ოზურგეთი, დაბა ლაითური.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ოზურგეთი, ვიქტორ დოლიძის ქ. №13, ბინა №8 (საკადასტრო კოდი: 26.26.01.078.01.008).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14642.77 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 31 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 15 ნოემბერი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP47754417;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 477544
6. **მოვალე:** ზაზა მარგალიტაძე (პ/ნ 33001017638), ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. 19, ბინა №3.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284).
8. **აუქციონის პირობები:**
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP47754417; ლოტის ნომერი: 477544).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 15 ნოემბრის 14:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ანახანიმ რზაევას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანახანიმ რზაევა (პ/ნ 28001043043), მარნეული, სოფელი თაზაქენდი.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, სოფელი თაზაქენდი (საკადასტრო კოდი: 83.03.22.067).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7321.38 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 31 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 15 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP47753617;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 477536
6. **მოვალე:** ანახანიმ რზაევა (პ/ნ 28001043043) (ეტიბარ რზაევის უფლებამონაცვლე), მარნეული, სოფელი თაზაქენდი;
ურუ აბდულაევა (პ/ნ 28001111731), მარნეული, სოფელი თაზაქენდი;
გაბილ გულიევი (პ/ნ 28001082257), მარნეული, სოფელი თაზაქენდი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284).
8. **აუქციონის პირობები:**
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP47753617; ლოტის ნომერი: 477536).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 15 ნოემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს სარხან მელიკოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სარხან მელიკოვი (პ/ნ 28001027094), მარნეული, სოფელი დიდი მუღანლო.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, სოფელი მუღანლო (საკადასტრო კოდი: 83.07.09.823).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 31906 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 31 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 15 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP47753917;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 477539
6. **მოვალე:** სარხან მელიკოვი (პ/ნ 28001027094), მარნეული, სოფელი დიდი მუღანლო;
ელნარ გასიმოვი (პ/ნ 28001074522), მარნეული, სოფელი დიდი მუღანლო;
მაგერამ ბინატოვი (პ/ნ 28001007147), მარნეული, სოფელი დიდი მუღანლო.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284).
8. **აუქციონის პირობები:**
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP47753917; ლოტის ნომერი: 477539).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 15 ნოემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)
კრედიტი/სესხი IBRD 8402-GE
პროექტის No.: P148048
დავალების სახელწოდება: სამუშაოების ზედამხედველობა 15 გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში (SLRP III)
კონტრაქტი/ RFP No: SLRP III/CS/QCBS-10

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„სამუშაოების ზედამხედველობა 15 გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში“.**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება პროექტის ღონისძიებებთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიაში შეყვანის კრიტერიუმებია:
• ზოგადი გამოცდილება.
• მსგავსი გამოცდილება - სამუშაოების ზედამხედველობის განხორციელება გზების რეაბილიტაციის ან მშენებლობის პროექტების ფარგლებში ბოლო 5 წლის განმავლობაში (2012 წლის პირველი იანვრიდან).

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 34 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში („კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ *(გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე).* ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

მოცემული მომსახურების ტექნიკური დავალება იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://www.dropbox.com/sh/d95fhj3rf9ukmo8/AABpMWlFeelO-yEx_rI6rVZRa?dl=0

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციისა და ღირებულების შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე **არაუგვიანეს 2017 წლის 20 ნოემბრის 17:00 საათისა.**

სახელი: ნუგზარ გასვიანი
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი 0160, საქართველო
ელ.ფოსტა: info@georoad.ge
ვებ–გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)
Credit / Loan No. IBRD 8402-GE
Project No. P148048
Assignment Title: Supervision of Works for rehabilitation of 15 road sections under the Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)
Contract/RFP No: SLRPIII/CS/QCBS-10

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third Secondary and Local Roads Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed with the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Supervision of Works for rehabilitation of 15 road sections under the Third Secondary and Local Roads Project"**.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The shortlisting criteria are:
• General experience;
• Similar experience, i.e. Supervision works for road rehabilitation or construction projects within the last 5 years (i.e. since January 01, 2012).

Estimated duration of assignment is **34 months.**

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association ***(Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)*** to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link: http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

The Terms of Reference for the subject assignment is available at the following link: https://www.dropbox.com/sh/d95fhj3rf9ukmo8/AABpMWlFeelO-yEx_rI6rVZRa?dl=0

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

THE CONSULTANT WILL BE SELECTED UNDER **QUALITY AND COST-BASED SELECTION** METHOD SET OUT IN THE WORLD BANK'S GUIDELINES: SELECTION AND EMPLOYMENT OF CONSULTANTS [UNDER IBRD LOANS AND IDA CREDITS & GRANTS] BY WORLD BANK BORROWERS, JANUARY 2011, REVISED JULY 2014 ("CONSULTANT GUIDELINES").

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below **not later than November 20, 2017, 17:00 hours.**

Name: NUGZAR GASVIANI
Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia Email: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

ჩირუხი-ხიხანი-გოდერძი – ახალი ტურისტული მარშრუტი აჭარაში

2018 წლისთვის მთიან აჭარაში ტურისტებს ახალი ტურისტული მარშრუტი „ჩირუხი-ხიხანი-გოდერძი" დახვდებათ. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო უკვე მუშაობს ტურისტული მარშრუტის მარკირების პროექტზე, რომლის მიხედვითაც ჩირუხის მთიდან ხიხანის გავლით გოდერძის უღელტეხილამდე საველოსიპედო, სამანქანო და საფეხმავლო მარშრუტების მარკირება განხორციელდება.

ახალი მარშრუტის კვლევა სამი თვე მიმდინარეობდა. უკვე შერჩეულია ძირითადი ტურისტული ბილიკი. დაწყებულია მუშაობა მარშრუტების პირველადი რუკების მომზადებაზეც. აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო მარშრუტის სრულ მარკირებას, მანიშნებლების და საინფორმაციო დაფების დამზადება-დამონტაჟებას, მარშრუტების რუკების მომზადებასა და საოჯახო-სასტუმრო სახლების შერჩევას 2018 წლისთვის გეგმავს.

„ჩირუხის მთა, ხიხანის ციხე და გოდერძის უღელტეხილი გამორჩეული ტურისტული ადგილებია აჭარაში. შესაბამისად, ულამაზეს ბუნებაში გამავალი ახალი ტურისტული ბილიკი საინტერესო, სათავგადასავლო და მდიდარი იქნება. მარშრუტი ორ მუნიციპალიტეტს დააკავშირებს და სტუმრებს აღარ მოუწევთ ბათუმი-ახალციხის ცენტრალური მაგისტრალით

მოძრაობა. ის მთლიანად ალპურ ზონაში გადის, საიდანაც ულამაზესი ხედები იშლება. ტურისტები გაივლიან ტბებს, ჩანჩქერებს, ხიხანის ციხესა და იალაღებს. მათ ექნებათ საშუალება, გაეცნონ მთიან აჭარას, მის ბუნებას, გაჩერდნენ იალაღებსა და სოფლებში. ეს მარშრუტი ერთმანეთთან ავტომატურად დააკავშირებს შუახევის და ხულოს სხვა ტურისტულ მარშრუტებს, შესაბამისად შექმნის მთიან აჭარაში ხანგრძლივი მოგზაურობის (3-5 დღე) საინტერესო და მრავალფეროვან მიმართულებას," — განაცხადა აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს დირექტორმა თინათინ ზოიძემ.

◎ კრივი

სახილის სასახელო გზა

საქართველოს **შვიდი წარმომადგენელი (მთავარი მწვრთნელი ბეჟან ჭიჭინავა, მწვრთნელები — ილია ტლაშაძე, გოჩა რუსია) მონაწილეობდა ანტალიაში (თურქეთი) გამართულ ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა სახილ ალახვერდოვმა. 49 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან ზედიზედ სძლია ფირატ დეიანს (თურქეთი), რუმინელ კოსმინ პეტრე გირლეანუს, აზერბაიჯანელ ჰასან იბრაჰიმოვს, უნგრელ ატილა ბერნატს და ჩემპიონობა მოიპოვა.**

ქართველთაგან ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ ოთარ ნავერიანი (60 კგ) და ბადრი ხუციშვილი (64 კგ). მეოთხედფინალში მათ, შესაბამისად, ფინელ ასამი ნოუალის (5:0) და შვედ რობერტ ბენგტსონს მოუგეს, ნახევარფინალში კი რუსებთან — ნიკიტა პისკუნოვსა და მუსა მარუევთან დამარცხდნენ და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

გივი გაგუა

სურათზე: სახილ ალახვერდოვი (მარცხნივ) ფინალური ორთაბრძოლის შემდეგ.

◎ წყალბურთი

„არენამ“ „ოქრო“ გამოჭედა

ცნობილი **მწვრთნელის — სოსო მაისურაძის ხელმძღვანელობით 2003 წელს დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა გუნდმა თბილისის „არენამ“ წლეულს თანატოლთა შორის უკრაინის პირველობაში იასპარეზა.** ჩვენმა ბიჭებმა (დიმიტრი ჭუმბურიძე, დავით თუთბერიძე, ლუკა თავყელიშვილი, ნიკა ლაზარიშვილი, ლუკა ჩიქოვანი, დავით ჩხეიძე, ცოტნე ჯიბლაძე, ილია ოგანჯანოვი, ბესო ახვლედიანი, გიორგი ერისთავი, საბა გოგიჩაიშვილი, გიორგი აზარაშვილი, ლუკა მელიქიძე, მწვრთნელები — ირაკლი გოგელია და ნოდარ ჩხარტიშვილი) 15 შეხვედრიდან 14 მატჩი მოიგეს, მხოლოდ ერთი დათმეს და ოქროს მედლები მოიპოვეს. სულ შეჯიბრებაში 18 გუნდი მონაწილეობდა. „არენამ“ შესარჩევ ტურნირში ოთხი შეხვედრა მოიგო და ერთი წააგო ხარკოვის ოლქის ნაკრებთან — 9:10, სამაგიეროდ, მასთან რევანში ნახევარფინალურ რაუნდში აიღო — 11:2 დაამარცხა. იმავე ტურნირში მაისურაძის შეგირდებმა კიევის „დინამოს“ 25:3 სძლიეს, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის — ალექსეი ბარკალოვის კლუბის წარმომადგენლებს 30:0 (!) აჯობეს, კიევის მეორე გუნდი და „კლოჩკოვოი“, შესაბამისად, 15:6 და 9:5 დაჯაბნეს და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ამ შეჯიბრებას დნეპროპეტროვსკმა უმასპინძლა. ქართველმა წყალბურთელებმა იქაც 5 კონკურენტს მოუგეს - ლვოვის „ევროსპორტს“ (26:3), „ოდესას“ (23:5), „დნიპროს“ (24:8), უჟგოროდის „დინამოს“ (14:7), „ლვოვს“ (5:3) და 27 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. 24 ქულით მეორე იყო უჟგოროდის „დინამო“, ხოლო 19 ქულით ბრინჯაოს მედალი ხარკოვის ოლქის გუნდს ხვდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

ნაცნობი სცენარით

ძალთა 32 და ვაჟთა 40 ნაკრები მონაწილეობს მოჭადრაკეთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატში, რომელსაც ბერძნული კრეტა მასპინძლობს. უკვე გაიმართა ორი ტურის შეხვედრები. საქართველოს მანდილოსანთა გუნდმა სტარტზე ბელარუსები დაამარცხა — 2.5:15 (ნანა ძაგნიძე — ნასტასია ზიაზიულკინა 0:1, ნინო ბაციაშვილი — ოლგა ბადელკა 0.5:0.5, ბელა ხოტენაშვილი — ლანიტა სტეცკო 1:0, ლელა ჯავახიშვილი-ტატიანა რევო 1:0). სხვა ფავორიტების მატჩები: რუსეთი — საბერძნეთი (1) , უკრაინა-სერბეთი, პოლონეთი — სლოვენია 2.5:1.5, გერმანია — სლოვაკეთი 3:1.

პირველ ტურში საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა მაკედონიას მოუგო — 3:1 (მიხეილ მჭედლიშვილი-ფილიპ პანჩევსკი 0:1, ლევან ფანცულაია — ტრაიკო ნედევი 1:0, დავით ჯოჯუა — დეიან ტროიანოვსკი 1:0, ლუკა პაიჭაძე — ნიკოლა ნიკოლოვსკი 1:0). ფავორიტთაგან აზერბაიჯანი, რომელიც მე-2 ნომრადაა განთესილი, ასპარეზობის 22-ე ნომერ იტალიასთან დამარცხდა — 1.5:2.5; რუსეთი — სლოვენია 2.5:1.5, უკრაინა — ავსტრია 3.5:0.5, მოლდოვა — ინგლისი, ისრაელი — ნორვეგია 2:2, შვეიცარია — სომხეთი 1:3.

მეორე ტური. ქალები. საქართველო — საფრანგეთი 3.5:0.5 (მარი სებაგი — ნინო ბაციაშვილი 0:1, სოფი მილე — ბელა ხოტენაშვილი 0:1, ელმირა სკრიპჩენკო — ლელა ჯავახიშვილი 0.5:0.5, პაულინ გიუზარდი — სალომე მელია 0:1), ისრაელი — იტალია 3.5:0.5, ჩეხეთი — რუსეთი, უკრაინა — სომხეთი, პოლონეთი — გერმანია, აზერბაიჯანი — უნგრეთი 1.5:2.5, ესპანეთი — რუმინეთი 3.5:0.5. **ვაჟები.** საქართველო — ჩეხეთი 1.5:2.5 (ბაადურ ჯობავა — დავით ნავარა 0:1, მიხეილ მჭედლიშვილი — ვიქტორ ლაზნიჩკა 0.5:0.5, ლევან ფანცულაია — ირჟი სტოჩეკი 1:0, დავით ჯოჯუა — ვოიტეჩ პლატი 0:1). სომხეთი — საბერძნეთი (1) რუმინეთი — უნგრეთი, ჰოლანდია — უკრაინა, რუსეთი — ბელარუსი 2.5:1.5, საფრანგეთი — ესპანეთი 2:2, .

ჩემპიონატზე შვეიცარიული სისტემით ცხრა ტური გათამაშდება.

ლაშა დიდია

სასამართლოდან უწყება გარდაცვლილ სულხან მოლაშვილის სხდომაზე დასწრების მიზნით არ გაგზავნილა

თბილისის **საქალაქო სასამართლო განცხადებას ავრცელებს. სასამართლო ეხმიანება გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ მასალას, სათაურით „გარდაცვლილი სულხან მოლაშვილი სასამართლოში დაიბარეს?!“.**

„თბილისის საქალაქო სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე განსასჯელ სულხან მოლაშვილის მიმართ. საქმე ეხება სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლის ბრალდებას, კერძოდ კი ს. მოლაშვილის მხრიდან ციხის ადმინისტრაციისათვის წინააღმდეგობის შესაძლო გაწევის ფაქტს.

სულხან მოლაშვილის გარდაცვალების მიუხედავად, მოცემულ საქმეზე მხარეებს, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შუამდგომლობით სასამართლოსთვის არ მოუმართავთ. სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საკითხზე, სასამართლო მას შემდეგ იმსჯელებს, როდესაც აღნიშნულის თაობაზე მხარე იშუამდგომლებს, ამასთან, გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრები/მემკვიდრეები განაცხადებენ თანხმობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის შემდგომი წარმოება საჭიროა გარდაცვლილის რეაბილიტაციისა და ახლად გამოვლენილ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამოძიების წარმართვისათვის. მიუხედავად პირის გარდაცვალებისა, სასამართლო არაა უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით იმსჯელოს განსასჯელის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე. სწორედ ამ მიზნით, 2017 წლის 31 ოქტომბერს, 17:00 დაინიშნა სასამართლო სხდომა. საგაზეთო წერილის სათაური უტრირებულია და ფორმულირებულია იმდაგვარად, თითქოს სასამართლოდან გზავნილი/უწყება გაიგზავნა გარდაცვლილი პირის სხდომაზე გამოცხადების მიზნით, რასაც ადგილი არ ჰქონია. სასამართლო მიიჩნევს, რომ სათაურად გამოყენებული კითხვა-ძახილის წინადადება რიტორიკული ხასიათისაა და მიზნად მკითხველის შეცდომაში შეყვანას ისახავს“, — აღნიშნულია სასამართლოს განცხადებაში.

თელავში, ცეცხლსასროლი იარაღით მამაკაცი დაჭრეს

თელავში **50 წლამდე ასაკის მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. მამაკაცს ჭრილობა ფეხის არეში აქვს მიყენებული. მას უკვე ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო დახმარება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

არსებული ინფორმაციით, მომხდარს წინ უძღოდა ურთიერთშელაპარაკება. საქმეზე გამოძიება 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

დედას არ უნდა შვილის ამნაირი გმირობა...

სიმონეთის **სამხედრო პოლიგონზე სამხედრო მოსამსახურე დაშავდა. 33 წლის ვალერი ჭანტურიძეს ხელი დაუზიანდა და მოგვიანებით კიდურის ამპუტაცია ჩაუტარდა.**

ჯარისკაცი ქუთაისში, რეფერალურ ჰოსპიტალში მკურნალობს. როგორც ექიმები აცხადებენ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

დაშავებულის დედის განცხადებით, მას არ ეუბნებიან, თუ რა მოხდა ჯარში. მისი თქმით, დაშავებული სამხედრო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 12 წელზე მეტია, მსახურობს, ის სხვადასხვა დროს ავღანურ მისიებში იღებდა მონაწილეობას.

„მეუბნებიან გმირის დედა ხარო, არ მინდა ამნაირი გმირობა, ავღანეთში ან ცხინვალში რომ მოსვლოდა ხმას არ ამოვიღებდი, აქ უბრალო ადგილზე მიკლავენ შვილს და რა მოხდა, ვერ გავიგე“, — აცხადებს სამხედროს დედა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სამხედრო პოლიციამ დაიწყო. მათივე ინფორმაციით, ვალერი ჭანტურიძე სამიზნე სროლებს ახორციელებდა და უეცარი სროლის შედეგად მარცხენა ხელის მტევანი დაიზიანა. დანიშნულია ექსპერტიზა. გამოძიება კი 124-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანებას გულისხმობს.

სანთელი

დედა ლუსია, შვილი ცოტნე, და ნინო მჭედლურები, დისშვილი ანდრია ბოკერია, ბიძა ნოდარ მჭედლური, დეიდა ზინა ასლანიშვილი, ბიძაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

შორენა მჭედლური

დაკრძალვა 31 X, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად თანაუგრძნობს თავის ღირსეულ წევრს, ქალბატონ ლუსია მჭედლურს დიდი ტრაგედიის — ქალიშვილის

შორენა მჭედლურის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელის მომწერი (სიგნატორი), გამოჩენილი პუბლიცისტი, ლიტერატორი და საზოგადო მოვაწე

თეიმურაზ ქორიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს.

გამოსვენება ქაშუეთის ეკლესიიდან 31 X, 14 სთ. პანაშვიდი (გამოთხოვება) 12 საათიდან.

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს 1990-1991 წ.წ. უზენაესი საბჭოს წევრი

თეიმურაზ ქორიძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტართა
პალატის სახელით
კობა ამირხანაშვილი

ხსოვნა

გამოჩენილი საჭადრაკო კომპოზიტორი ველიმირ კალანდაძე

დღეს, 31 ოქტომბერს ქართული საჭადრაკო ოჯახი გამოჩენილ საჭადრაკო კომპოზიტორს **ველიმირ კალანდაძეს** გამოემშვიდობება. მისი საჭადრაკო ეტიუდები ფორმის სისადავითა და ჩანაფიქრის სიმძაფრით გამოირჩეოდა. ორი მათგანი საჭადრაკო კომპოზიტორთა მსოფლიო კონგრესზე „წლის ყველაზე პოპულარულ ეტიუდად“ აღიარეს. განსაკუთრებით ეფექტურია ველიმირის ეტიუდები, შექმნილი სისტემატური მოძრაობის იდეებზე. მას ხელეწიფებოდა ფიგურათა მოძრაობისას, ერთი შეხედვით ერთფეროვან და სწორხაზობრივ მიმართულებაში პიკანტური შტრიხებისა და მოულოდნელი ტაქტიკური ნიუანსების საჭირო მომენტში ჩართვა.

საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო ოსტატი და არბიტრი მრავალი დიდი კონკურსის ლაურეატი იყო. 1976 წელს დავით გურგენიძესთან მისმა ერთობლივმა ეტიუდმა ისრაელის ოლიმპიური კონკურსის ოქროს მედალი დაიმსახურა. 1984 წელს ველიმირის ეტიუდს საბერძნეთის ოლიმპიურ კონკურსზე მეორე პრიზი მიენიჭა.

ველიმირ კალანდაძე ექვსი საინტერესო წიგნის ავტორია. წლების განმავლობაში იგი სხვადასხვა გაზეთში, მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკაში“ საჭადრაკო კუთხეს ხელმძღვანელობდა.

მსოფლიოში აღიარებული ქართული საეტიუდო სკოლა კიდევ ერთი ფიგურის გარეშე დარჩა.

ნათელში ამყოფის ღმერთმა...

დავით გურგენიძე

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი, ჩვენი გაზეთის ძველი ავტორი და მეგობარი

ველიმირ კალანდაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ანზორ ახვლედიანი, მარიანა ჭოხონელიძე ოჯახით იუწყებიან

თემურ მარგველაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს.

საქართველოს პარლამენტის მე-9 მოწვევის, ფრაქცია მრეწველების წევრები და აპარატის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველების“ თავმჯდომარეს, ბატონ სიმონ ნოზაძეს დედის

ლეილა მაისურაძე-ნოზაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მწუხარებით უსამძიმრებს საქართველოს პარლამენტის დეპუტატს, ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველების“ თავმჯდომარეს, ბატონ სიმონ ნოზაძეს დედის

ლეილა მაისურაძე-ნოზაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

გუდაური-კობის მონაკვეთზე დიდთოვლობაა

ინტენსიური თოვის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე, აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ინფორმაციას ამის შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 2 ნოემბერს.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5612; ევრო - 2.9766;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3531;
100 რუბლი - 4.3941; თურქული ლირა - 0.6698;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5069;
1000 სომხური დრამი - 5.3170.

ამინდი 31 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +12
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +10
თბილისი: ღამე +10, დღე +20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge